



შენაბამისობის აუდიტის ანგარიში





სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ“

თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტი

დეპარტამენტის უფროსი
გიორგი მამრიკიშვილი

25 დეკემბერი 2020 წელი

Nº 42/36

ეგზ.: № 1

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2018-2019
წლების საკმეიანობის შესაბამისობის აუდიტის
ანგარიში

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები	3
	შემაჯამებელი მიმოხილვა	4
	რეკომენდაციები	6
	1. შესავალი	8
	ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	8
	აუდიტორის პასუხისმგებლობა	8
	აუდიტის საგანი	8
	აუდიტის მასშტაბი	8
	აუდიტის კრიტერიუმები	9
	აუდიტის მიზანი	9
	აუდიტის მეთოდოლოგია	10
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	10
	2. აუდიტის მიგნებები	11
	დანართები	41
	საკონტაქტო ინფორმაცია	45
დანართები		

ტერმინები და შემოკლებები

მუნიციპალიტეტი – ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია; ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

გამგეობა – ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

მერია – ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია.

საკრებულო – ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

ა(ა)იპ – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

შპს – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

ი/მ – ინდივიდუალური მეწარმე.

შემაჯამებელი მიმოხილვა

ფინანსური რესურსების მართვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი. აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ხარვეზები და ნაკლოვანებები:

რესურსების მართვა

მუნიციპალიტეტში არსებობს როგორც ფინანსური რესურსების, ასევე დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის ხარვეზები. მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო არაფინანსური აქტივების ზრდის პარამეტრების სათანადოდ დაგეგმვა, რის გამოც შესაბამისი საბიუჯეტო მუხლის შესრულებას 2018-2019 წლებში, შესაბამისად, 29%¹ და 23%² დააკლდა.

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია

ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის ხარვეზები

მუნიციპალიტეტში არსებობს ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის ხარვეზები. სამუშაოების უმეტესობა, 6.3 მილიონი ლარის პროექტები, განსაზღვრულ ვადებში არ დასრულდა, ხოლო 3.2 მილიონი ლარის პროექტები შესრულებულია უხარისხოდ. გარდა ამისა, ზოგიერთი პროექტის განხორციელება გონივრულ ვადაში არ დაწყებულა, ასევე სრულად არ არის გამოყენებული სხვადასხვა დროს შეძენილი აქტივები.

ინტერესთა კონფლიქტი

მუნიციპალიტეტს არ აქვს დაწესებული სათანადო კონტროლის მექანიზმები, რათა თავიდან აიცილოს ინტერესთა შეუთავსებლობის შემთხვევები სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას.

მოსახლეობის წყალმომარაგება

მოსახლეობის წყალმომარაგების პრობლემები

მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული ღონისძიებები მოსახლეობის წყალმომარაგების კუთხით არასაკმარისია და გაწეულია მხოლოდ 210 ათასი ლარის ხარჯი. მოსახლეობის უმეტეს ნაწილს წყალი არ მიეწოდება ან მიეწოდება შეფერხებით. სასმელი წყალი არ იწმინდება და მისი ხარისხი არ მოწმდება.

შემოსავლის ადმინისტრირება

მიუღებელი შემოსავლები

მუნიციპალიტეტის მიერ დაწესებული კონტროლის მექანიზმები კუთვნილი შემოსავლების ადმინისტრირების მხრივ სათანადოდ არ ფუნქციონირებს. მუნიციპალიტეტმა სრულად ვერ მიიღო დასუფთავების მოსაკრებელი, ასევე შემოსავლები ქონების გადაცემიდან და დაფუძნებული სუბიექტების საქმიანობიდან.

¹ ვერ იქნა ათვისებული 2,044.6 ათასი ლარი.

² ვერ იქნა ათვისებული 2,930.4 ათასი ლარი.

ქონების მართვა

სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებები

ჩაუტარებელი ინვენტარიზაცია

მუნიციპალიტეტში არ ჩატარებულა ძირითადი საშუალებების და მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია. შედეგად, არსებობს რისკი, რომ მუნიციპალიტეტის კუთვნილი ქონების დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევები დარჩეს შეუმჩნეველი, შესაბამისი რეაგირების გარეშე.

მოსახლეობის ფინანსური დახმარების ნაკლოვანებები

მუნიციპალიტეტის მიერ შემუშავებული მოსახლეობის ფინანსური დახმარების გაცემის წესი ვერ უზრუნველყოფს მოქალაქეების თანაბარ პირობებში ჩაყენებას და ზრდის სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების რისკს.

რეკომენდაციები

ზესტაფონის მუნიციპალიტეტს

რეკომენდაცია: ფინანსური რესურსების რაციონალური მართვის უზრუნველყოფის მიზნით, მუნიციპალიტეტის მერიამ ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებები გამოიყენოს შესაბამისი წლის ბიუჯეტით დაგეგმილი პროგრამების/ქვეპროგრამების მიზნების და მოსალოდნელი შედეგების მისაღწევად. ამასთანავე, ბიუჯეტი დაგეგმოს იმგვარად, რომ არ დაუშვას ნაშთის უკონტროლო დაგროვება და არსებული ნაშთი მაქსიმალურად მიმართოს მუნიციპალიტეტის პრობლემების მოსაგვარებლად.

რეკომენდაცია: მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ შეიმუშაოს და დანერგოს სამშენებლო სამუშაოების მიღებისა და ჩაბარების წესი, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი მოქმედი სტანდარტების დაცვით სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო კონტროლის მექანიზმები. დოკუმენტით ნათლად უნდა განისაზღვროს კონტროლის თითოეულ ეტაპზე ჩასატარებელი სამუშაოები და კონტროლის განმახორციელებელი პირები, მათი მოვალეობები და პასუხისმგებლობები. აღნიშნული ხელს შეუწყობს კონტროლის მექანიზმების გამართულ ფუნქციონირებას, პროექტის შემოწმებისათვის საჭირო ყველა პროცედურის სათანადოდ წარმართვას და ხარისხიანი პროექტების ჩაბარებას. ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა შეისწავლოს პროექტების დაზიანების გამომწვევი მიზეზები, გაატაროს ღონისძიებები შესაბამისი პასუხისმგებელი პირებისა და საექსპერტო დაწესებულებების მიმართ და უზრუნველყოს ხარვეზების აღმოფხვრა.

რეკომენდაცია: მუნიციპალიტეტმა ინფრასტრუქტურული სამუშაოები უნდა დაგეგმოს ყველა იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს პროექტის წარმატებით დასრულებას ან/და გამოყენებას. კონკრეტული პროექტის დაგეგმვის დროს მუნიციპალიტეტმა შეისწავლოს მის ხელთ არსებული ფინანსური და მატერიალური რესურსები და აქედან გამომდინარე განსაზღვროს, რამდენად შესაძლებელია პროექტის განხორციელება და დასახული მიზნის მიღწევა. ამასთანავე, მერიამ შეისწავლოს და შეაფასოს დაუსრულებელი ობიექტების/აქტივის მდგომარეობა და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები დაწყებული ან ალტერნატიული პროექტების დასასრულებლად.

რეკომენდაცია: მუნიციპალიტეტის მერიამ განსაზღვროს კონტროლის დამატებითი მექანიზმები, რაც ხელს შეუწყობს ხარისხიანი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენას; ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების ვადების განსაზღვრისას, მაქსიმალურად გაითვალისწინოს სხვადასხვა ფაქტორი და პირობა, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს სამუშაოების დროულ დასრულებაზე; მიწოდების ვადების ცვლილება არ განახორციელოს დაუსაბუთებელი გარემოებებით და გაითვალისწინოს მხოლოდ ობიექტური და ფორსმაჟორული საფუძვლების არსებობა. აღნიშნული ღონისძიებები ხელს შეუწყობს ფაქტობრივად შესასრულებელი სამუშაოებისა და რეალური ვადების განსაზღვრას და გააუმჯობესებს საბიუჯეტო ასიგნებების გეგმურ და თანაბარ ხარჯვას. ამასთანავე, უზრუნველყოფს საბიუჯეტო

შემოსავლების გაზრდას და მიმწოდებლების მიმართ ერთგვაროვანი მიდგომის ჩამოყალიბებას.

რეკომენდაცია: მერიამ, საკრებულოსთან შეთანხმებით, დაგეგმოს და განახორციელოს კომპლექსური ღონისძიებები, რომლებიც გონივრულ ვადაში უზრუნველყოფს წყალმომარაგების მოწესრიგებას და წყლის ხარისხის შემოწმებას. ამასთანავე, ღონისძიებათა გეგმა უნდა ითვალისწინებდეს როგორც წყლის, ასევე საბიუჯეტო რესურსების რაციონალურ ხარჯვას. აღნიშნული ხელს შეუწყობს მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას და წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებას.

რეკომენდაცია: მერიამ, საკრებულოს დადგენილების შესაბამისად, უზრუნველყოს დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელთა ბაზის შექმნა და წლის განმავლობაში მისაღები მოსაკრებლის ოდენობის გაანგარიშება. ასევე შეიმუშაოს მოსაკრებლის გადახდევინების ინსტრუქცია და დანერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომლებიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს დასუფთავების მოსაკრებლის სახით მისაღები შემოსავლების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მობილიზებას.

რეკომენდაცია: მერიამ განახორციელოს ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით, რაც უზრუნველყოფს აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების დადგენას და მათ შედარებას ორგანიზაციის სააღრიცხვო მონაცემებთან, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება ინვენტარიზაციის შედეგების დადგენა და შესაბამისი მატერიალურად პასუხისმგებელი პირების გამოვლენა. აღნიშნული გაზრდის მუნიციპალური აქტივების დაცულობის ხარისხს.

1. შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამოებს.

ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის, აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორეზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს. სტანდარტი ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობა არ შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტორული პროცედურები წარიმართა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობებზე დაყრდნობით გონივრული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამოების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში 2018-2019 წლებში გაწეული საქმიანობის მოქმედ საკანონმდებლო ნორმებთან შესაბამისობა.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მიერ 2018-2019 წლებში გაწეული საქმიანობა. გარდამავალი ხელშეკრულებებიდან და წინა აუდიტით გამოვლენილ რისკის შემცველ საკითხებთან დაკავშირებით, შესწავლილ იქნა სხვა პერიოდის დოკუმენტაცია. მუნიციპალიტეტის საქმიანობის აუდიტმა მოიცვა მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების ბიუჯეტების გადასახდელები, ჯამში – 38,226.4 ათასი ლარი.

აუდიტის კრიტერიუმები³

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

- საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
- საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანება „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ“.
- მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტები და სხვ.

აუდიტის მიზანი

ა) ჩამოყალიბდეს დასკვნა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით. აუდიტის ანგარიშში, მათი გამოვლენის შემთხვევაში, აისახება ნებისმიერი საკითხი, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საჯარო ფინანსების მართვის გასაუმჯობესებლად ან/და საჯარო სექტორში ერთგვაროვანი პრაქტიკის დასაწერად;

ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

³ 2018-2019 წლებში მოქმედი რედაქციით.

აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის საგნის შესასწავლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

- აუდიტის ობიექტების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციისა და მონაცემთა ანალიზი;
- დოკუმენტური შემოწმება;
- ინტერვიუები აუდიტის ობიექტების თანამშრომლებთან;
- ადგილზე დათვალიერება.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

ზესტაფონის მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც აქვს თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, განკარგავს საკუთარ ქონებასა და ბიუჯეტს. მუნიციპალიტეტი მოიცავს 19 ადმინისტრაციულ ერთეულს, რომელიც აერთიანებს ერთ დაბას, 59 სოფელსა და ადმინისტრაციულ ცენტრს, ქალაქ ზესტაფონს.⁴ მუნიციპალიტეტის ფართობია 423.0 კვ.კმ, მოსახლეობის რიცხოვნობა 2018 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით შეადგენს 56.3 ათასს კაცს.⁵

2018-2019 წლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ხარჯები გაწეულია შემდეგ პროგრამებზე: წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება – 5,354 ათასი ლარი; თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება – 317.2 ათასი ლარი; ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია – 16,370.7 ათასი ლარი; განათლება – 7440.8 ათასი ლარი; კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები – 5084.8 ათასი ლარი; მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა – 3658.9 ათასი ლარი.

⁴ ინფორმაციის წყარო: mreg.reestri.gov.ge

⁵ ინფორმაციის წყარო: www.geostat.ge; www.budgetmonitor.ge – 2018 წლის საშუალო წლიური მაჩვენებელი.

2. აუდიტის მიგნებები

2.1 ფინანსური რესურსების მართვა

კრიტერიუმი. ბიუჯეტის პროექტის მომზადებისათვის, ბიუჯეტის შესრულებისა და ანგარიშგებისათვის პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო.⁶ მუნიციპალიტეტმა 2018-2019 წლებში პროგრამული ბიუჯეტებით დაგეგმა შემდეგი შედეგების მიღწევა: ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება, მგზავრთა შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილება, მოსახლეობის პირობების გაუმჯობესება და სხვ.

შეზღუდული ფინანსური რესურსების პირობებში, საბიუჯეტო პროცესი უნდა წარმართოს იმგვარად, რომ თავიდან იქნეს აცილებული თავისუფალი ნაშთის უკონტროლო დაგროვება.

ფაქტობრივი გარემოება. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლებზე დაყრდნობით, 2018-2019 წლების შემოსულობებმა – 39,803.7 ათასი ლარი, ხოლო გადასახდელებმა – 38,226.4 ათასი ლარი შეადგინა. ბიუჯეტის ფაქტობრივი და გეგმური მაჩვენებლები წარმოდგენილია ცხრილში:

ცხრილი №1. მუნიციპალიტეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება 2018-2019 წლებში (ათასი ლარი)

დასახელება	2018 წელი			2019 წელი			შესრულების ჯამი
	გეგმა	ფაქტი	შესრულება	გეგმა	ფაქტი	შესრულება	
შემოსულობები	16,344.8	16,214.2	99%	23,251.1	23,589.5	101%	39,803.7
შემოსავლები	16,294.8	16,119.9	99%	22,623.6	22,976.4	102%	39,096.3
არაფინანსური აქტივების კლება	50.0	94.3	189%	627.5	613.1	98%	707.4
ფინანსური აქტივების კლება	–	–	–	–	–	–	–
ვალდებულებების ზრდა	–	–	–	–	–	–	–
გადასახდელები	18,615.9	15,921.6	86%	25,844.7	22,304.8	86%	38,226.4
ხარჯები	11,264.6	10,614.9	94%	12,948.3	12,339.3	95%	22,954.2
არაფინანსური აქტივების ზრდა	7,093.5	5,048.9	71%	12,651.4	9,721.0	77%	14,769.9
ფინანსური აქტივების ზრდა	–	–	–	–	–	–	–
ვალდებულებების კლება	257.8	257.8	100%	245.0	244.5	100%	502.3
ნაშთის ცვლილება	-2,271.1	292.6		-2,593.6	1,284.7		–

ორივე საანგარიშო წლისათვის მუნიციპალიტეტმა „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლი არასათანადოდ შეასრულა. კერძოდ, მერიამ წლის ბოლომდე ვერ აითვისა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხები. შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა ვერ მიიღო კრიტერიუმით გათვალისწინებული მოსალოდნელი შედეგები: ძირითადად, ვერ დასრულდა და დაგვიანდა საგზაო

⁶ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 7, პუნქტი 1; მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების ბიუჯეტები.

ინფრასტრუქტურის, ქუჩების, გზების, მინი-სტადიონებისა და სხვა ობიექტების მშენებლობისა და რეაბილიტაციის სამუშაოები.

საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტი ფლობდა მნიშვნელოვანი მოცულობის საბიუჯეტო ნაშთებს, კერძოდ, 2018 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტს ბალანსზე ნაშთის სახით ერიცხებოდა 2,496.9 ათასი ლარი. 2018 წლისათვის დაიგეგმა 2,271.1 ათასი ლარის ათვისება,⁷ თუმცა ნაშთის ცვლილებით გამოწვეულმა ფულადი სახსრების დაგროვებამ 292.6 ათასი ლარი შეადგინა. შესაბამისად, პერიოდის ბოლოს დაფიქსირდა 2,789.5 ათასი ლარის ნაშთი, საიდანაც 780.9 ათასი ლარი თავისუფალი ნაშთია.⁸ 2019 წელს მუნიციპალიტეტმა დაგეგმა 2,593.6 ათასი ლარის გამოყენება,⁹ თუმცა წინა წლის მსგავსად დააგროვა 1,284.7 ათასი ლარი. საბოლოოდ, წლის ბოლოსათვის საბიუჯეტო ნაშთმა 4,074.2 ათასი ლარი შეადგინა. აქედან, 949.7 ათასი ლარი თავისუფალი ნაშთია.

აღნიშნული თანხები მოიცავს საქართველოს მთავრობის განკარგულებით 2013-2014 და 2017 წლებში მიღებულ დაფინანსებასაც, რომლის ათვისება და ხარჯვა მუნიციპალიტეტმა დროულად ვერ უზრუნველყო. შესაბამისად, თანხები ნაშთის სახით აისახა 2018-2019 წლების ბიუჯეტებში.¹⁰

დასკვნა

მუნიციპალიტეტმა 2018-2019 წლებში ვერ უზრუნველყო ბიუჯეტით დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების დროულად განხორციელება და დააგროვა არსებითი მოცულობის ნაშთი (მათ შორის, თავისუფალი ნაშთი). აღნიშნული მიუთითებს მუნიციპალიტეტის მფლობელობაში არსებული ფინანსური რესურსების არაეფექტიან მართვაზე.

რეკომენდაცია №1

ფინანსური რესურსების რაციონალური მართვის უზრუნველყოფის მიზნით, მუნიციპალიტეტის მერიამ ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებები გამოიყენოს შესაბამისი წლის ბიუჯეტით დაგეგმილი პროგრამების/ქვეპროგრამების მიზნების და მოსალოდნელი შედეგების მისაღწევად. ამასთანავე, ბიუჯეტი დაგეგმოს იმგვარად, რომ არ დაუშვას ნაშთის უკონტროლო დაგროვება და არსებული ნაშთი მაქსიმალურად მიმართოს მუნიციპალიტეტის პრობლემების მოსაგვარებლად.

2.2 ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია

2.2.1 დაზიანებული ინფრასტრუქტურული პროექტები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებების პირობების შესაბამისად, მიმწოდებელმა სამუშაო უნდა შეასრულოს ჯეროვნად, სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის, ტექნიკური დავალების და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი სამშენებლო ნორმების დაცვით. სამუშაოს საგარანტიო ვადის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან, შემსყიდველის მიერ

⁷ ბიუჯეტის დამტკიცებისას დაიგეგმა ნაშთის სრულად ათვისება.

⁸ თავისუფალი ნაშთი - ნაშთის ის ნაწილი, რომელიც არ არის გათვალისწინებული რაიმე მიზნებისათვის (საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი; მუხლი 6).

⁹ ბიუჯეტის დამტკიცებისას დაიგეგმა ნაშთის სრულად ათვისება.

¹⁰ 2018 წელს - 435.5 ათასი ლარი და 2019 წელს - 53.0 ათასი ლარი.

განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს მისი აღმოფხვრა.

ფაქტობრივი გარემოება. 2018-2019 წლებში მუნიციპალიტეტმა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტი განახორციელა 140 ხელშეკრულების ფარგლებში, საერთო ღირებულებით – 17,314.3 ათასი ლარი. აუდიტის ჯგუფმა ობიექტები დაათვალიერა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად,¹¹ რის შედეგადაც გამოვლინდა 25 ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სულ 3,199.9 ათასი ლარის ღირებულების უხარისხო სამუშაოები. კერძოდ, დაზიანებულია საგზაო, განათლებისა და სპორტის და სხვა დანიშნულების ინფრასტრუქტურული პროექტები (იხ. დანართები №1,2,3). მაგალითად:

- 2018 წლის სექტემბერში მუნიციპალიტეტმა შეისყიდა სოფელ ცხრაწყაროს გზის რეაბილიტაციის და ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები, რომელიც დასრულდა დეკემბერში და ღირებულებამ 128.9 ათასი ლარი შეადგინა.¹² ობიექტის დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ გზა დაზიანებულია. მიუხედავად იმისა, რომ არ იყო გასული ხელშეკრულების საგარანტიო ვადა, მუნიციპალიტეტს არ მიუმართავს მიმწოდებლისთვის ობიექტზე არსებული დაზიანებების აღმოფხვრის მიზნით.

მუნიციპალიტეტში დანერგილი პრაქტიკის შესაბამისად, შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარებას და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებდა მუნიციპალიტეტში შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი. ხელშეკრულებით ასევე განსაზღვრული იყო სამუშაოების მიღება-ჩაბარება საექსპერტო ან/და ტექნიკური ზედამხედველის მიერ გაცემული დასკვნების საფუძველზე, რომლებითაც უნდა დადასტურებულიყო შესრულებული სამუშაოების ხარისხის, მოცულობისა და ღირებულების შესაბამისობა სამშენებლო ნორმებითა და სტანდარტებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. წარმოდგენილი ინფორმაციით, მუნიციპალიტეტმა პროექტები ჩაიბარა დადებითი საექსპერტო დასკვნების საფუძველზე. ამასთანავე, დასკვნებით დადასტურებულია შესრულებული სამუშაოების მოცულობისა და ღირებულების შესაბამისობა, ხოლო ხარისხი შეფასებულია მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი ხარისხის დამადასტურებელი სერტიფიკატებით.

როგორც გამოვლინდა, მუნიციპალიტეტის მიერ დანერგილი კონტროლის პროცედურები ზოგ შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფდა სათანადო რწმუნებას სამუშაოების ხარისხის მოქმედ სტანდარტებთან და ნორმებთან შესაბამისობაზე. სამუშაოების ნაწილი შესრულებულია უხარისხოდ, ობიექტები დაზიანებულია და საჭიროებს დამატებით რეაბილიტაციას.

აუდიტის ობიექტს 2017-2019 წლებში შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფთან“ გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება 50.0 ათას ლარზე მეტი ღირებულების ინფრასტრუქტურული ობიექტების საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების

¹¹ 2020 წლის 11 მარტი; 2020 წლის 4-6 ივნისი.

¹² NAT180011764; ხელშეკრულება №113. მიმწოდებელი – შპს „საპოვნელა“.

საზედამხედველო მომსახურებაზე, ღირებულებით – 755.8 ათასი ლარი.¹³ ხელშეკრულების პირობების მიხედვით, მიმწოდებელი პასუხისმგებელი იყო შესრულებული სამუშაოების ხარისხზე. მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა მტკიცებულებები, რა სანქციები გაატარა შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფის“ მიმართ, რომელმაც დაუშვა უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების ჩაბარება.

დათვალიერებით გამოვლენილი დაზიანებული ინფრასტრუქტურული პროექტების საგარანტიო ვადები არ იყო გასული. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტმა 25-დან მხოლოდ 7 ხელშეკრულების¹⁴ ფარგლებში მიმართა მიმწოდებელს ხარვეზების გამოსწორების მიზნით, თუმცა დაზიანებები აღმოფხვრილი არ არის. შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა არ გამოიყენა ხელშეკრულებებით მინიჭებული უფლება და არ უზრუნველყო არსებული წუნის გამოსწორება მიმწოდებელი ორგანიზაციის სახსრებით.

აღსანიშნავია, რომ 2019 წელს, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, მუნიციპალიტეტმა სოფლების საუბნო გზები მოაწყო განსხვავებული პრინციპით. კერძოდ, მუნიციპალიტეტმა შეისყიდა 370.7 ათასი ლარის ღირებულების მზა ბეტონი,¹⁵ რომლის დაგებაც მოსახლეობამ საკუთარი ძალებით უზრუნველყო. სამუშაოების ამგვარი წესით შესრულება თავიდანვე შეიცავდა რისკებს, რომ მოსახლეობა ვერ შეძლებდა მშენებლობის არსებული სტანდარტების დაცვას და არ იმუშავებდა ხარვეზების საგარანტიო ვადებში გამოსწორების მექანიზმი. მუნიციპალიტეტმა აღნიშნული რისკები ვერ გაითვალისწინა და ზოგ შემთხვევაში მიიღო უხარისხო პროდუქტი. კერძოდ, შესრულებული სამუშაოების დათვალიერებით გამოვლინდა, რომ ძირულას და ილემის ადმინისტრაციულ ერთეულებში, ასევე სოფელ საწუმბოსა და ფუთში (თუთბერიძე-ვარდოსანიძეების და სირაძეების უბანი) მოსახლეობის მიერ ბეტონი უმეტესად უხარისხოდაა დაგებული.

დასკვნა

მუნიციპალიტეტმა ვერ დანერგა კონტროლის სათანადო პროცედურები და პროცესები ვერ წარმართა იმგვარად, რომ არ მიეღო უხარისხოდ შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტები. კერძოდ, მერიამ ჩაიბარა 3 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების ისეთი ობიექტები, რომლებიც ნაწილობრივ დაზიანებულია და საჭიროებს დამატებით რეაბილიტაციას. შესრულებული სამუშაოების ხარისხის პრობლემა მუნიციპალიტეტში სისტემურია. მუნიციპალიტეტი ვალდებული იყო დაედგინა დაზიანების გამომწვევი მიზეზები, მათზე პასუხისმგებელი პირები და ზარალის ანაზღაურების მიზნით, გაეტარებინა შესაბამისი ღონისძიებები, მათ შორის, საექსპერტო დაწესებულებების მიმართ, რაც არ განუხორციელებია.

მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ შეიმუშაოს და დანერგოს სამშენებლო სამუშაოების მიღებისა და ჩაბარების წესი, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი მოქმედი სტანდარტების დაცვით სამუშაოების

¹³ NAT170007678.

¹⁴ NAT170004284, CMR190162462, NAT170010069, NAT180011360, NAT180011360, NAT170009471, NAT 190014884.

¹⁵ NAT190017064; CMR190085238.

რეკომენდაცია №2

შესრულებისათვის საჭირო კონტროლის მექანიზმები. დოკუმენტით ნათლად უნდა განისაზღვროს კონტროლის თითოეულ ეტაპზე ჩასატარებელი სამუშაოები და კონტროლის განმახორციელებელი პირები, მათი მოვალეობები და პასუხისმგებლობები. აღნიშნული ხელს შეუწყობს კონტროლის მექანიზმების გამართულ ფუნქციონირებას, პროექტის შემოწმებისათვის საჭირო ყველა პროცედურის სათანადოდ წარმართვას და ხარისხიანი პროექტების ჩაბარებას. ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა შეისწავლოს პროექტების დაზიანების გამომწვევი მიზეზები, გაატაროს ღონისძიებები შესაბამისი პასუხისმგებელი პირებისა და საექსპერტო დაწესებულებების მიმართ და უზრუნველყოს ხარვეზების აღმოფხვრა.

2.2.2 გამოუყენებელი და დაუსრულებელი ობიექტები

კრიტერიუმი: ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიზანია მოსახლეობის კონკრეტული საჭიროებების დაკმაყოფილება და სარგებლის მიღება. პროექტის დაგეგმვის დროს მუნიციპალიტეტმა უნდა გაითვალისწინოს საჭირო ფინანსური და მატერიალური რესურსების რაოდენობა და შესაბამისად განსაზღვროს მიზნის მიღწევის შესაძლებლობა. მნიშვნელოვანია, მუნიციპალიტეტმა შეზღუდული რესურსების პირობებში დააფინანსოს და დროულად დაასრულოს ისეთი პროექტები, რომლებიც გრძელვადიანი განვითარების პირობებს შექმნის.

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტის საქმიანობა დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების დასრულების, შეძენილი აქტივების განკარგვისა და საპროექტო დოკუმენტაციის რეალიზების მხრივ ხასიათდება სისტემური ხარვეზით. მერიამ ვერ უზრუნველყო პროექტების ოპტიმალური დაგეგმვა და არსებული რესურსის ეფექტიანი გამოყენება. აღნიშნულის გამო, 2018-2019 წლებში მუნიციპალიტეტმა შედეგი ვერ მიიღო, სულ 273.1 ათასი ლარის საბიუჯეტო რესურსის ხარჯვიდან, კერძოდ:

- 2020 წლის პირველი ივლისის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტს ნაშთად ერიცხება 123.5 ათასი ლარის ღირებულების სამშენებლო მასალები. ნაშთი მოიცავს 2018 წლამდე პერიოდში შეძენილ მასალებსაც. მერიამ სწორად ვერ განსაზღვრა მასალების საჭირო მოცულობები და/ან ვერ უზრუნველყო მათი დანიშნულების მიხედვით გამოყენება, რის გამოც მატერიალური აქტივი წლების განმავლობაში დასაწყობებულია და მისი ხარისხი უარესდება, მაგალითად:

ადგილობრივი ბიუჯეტისა და „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გათვალისწინებული სახსრებით, 2018-2019 წლებში მუნიციპალიტეტი სამშენებლო მასალებს გადასცემდა მრავალსართულიანი სახლების ამხანაგობებსა და სოფლის მოსახლეობას, სამუშაოების საკუთარი ძალებით შესასრულებლად. კერძოდ, დაგეგმილი იყო საცხოვრებელი ბინების გადახურვა, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების მოწყობა, სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა/რეაბილიტაცია და სხვ. შესწავლით ირკვევა, რომ შეძენილი მასალების ნაწილი, ღირებულებით – 70.2 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტს არ გამოუყენებია და შესაბამისად, დაგეგმილი სამუშაოები არ განუხორციელებია.¹⁶

¹⁶ 2020 წლის 1 ივლისის მდგომარეობით.

• მუნიციპალიტეტმა ცალკეული ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დახარჯა სულ 141.4 ათასი ლარი და მმართველობითი გადაწყვეტილებებით ვერ მიიღო პროექტებით განსაზღვრული კონკრეტული შედეგები. კერძოდ, წინა წლებში შეძენილია მოძრაობის მაკონტროლებელი კამერები, რომლებიც არ ფუნქციონირებს,¹⁷ დაუსრულებელია სასმელი წყლის სისტემები და მოსახლეობას წყალი არ მიეწოდება¹⁸ და სხვ.¹⁹

• 2017-2018 წლებში ზესტაფონის მუნიციპალიტეტმა შეიძინა 145.7 ათასი ლარის ღირებულების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომლის მიხედვით დაგეგმილი იყო 156 ინფრასტრუქტურული პროექტის შესრულება. აუდიტის მიმდინარეობისას გამოუყენებელი იყო 8.2 ათასი ლარის ღირებულების პროექტები, რომლებიც ითვალისწინებდა 16 ობიექტის მშენებლობას/რეაბილიტაციას. კერძოდ, არ შესრულებულა საყრდენი კედლების, სკვერის, შიდა ეზოების, სანიაღვრე არხების, ტროტუარების, გზების რეაბილიტაციისა და სხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოები, ღირებულებით – 1,383.4 ათასი ლარი.

წარმოდგენილი მონაცემებით, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის გამოყენება ახლო მომავალშიც არ არის დაგეგმილი. აღსანიშნავია, რომ შესყიდული დოკუმენტაციით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული პროექტები მოსახლეობისთვის მნიშვნელოვნად საჭიროა და მათი განხორციელება მუნიციპალიტეტისათვის პრიორიტეტული უნდა იყოს.

გარდა ამისა, არსებობს რისკი, რომ დროთა განმავლობაში საქონლის საბაზრო ღირებულებისა და შესაბამისად, ერთეული ფასების ცვლილების გამო, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია გახდეს მოქმედ ფასებთან შეუსაბამო და კორექტირებისათვის საბიუჯეტო თანხები დამატებით დაიხარჯოს.

მუნიციპალიტეტმა დანიშნულების მიხედვით ვერ გამოიყენა შესყიდული სამშენებლო მასალების არსებითი ნაწილი და დაგეგმილ პერიოდში ვერ დაასრულა/არ დაგეგმა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები. ამ მიზნით მერიამ ბიუჯეტიდან გასწია 273.1 ათასი ლარის არაეფექტიანი ხარჯი და ვერ მიაღწია პროექტების განხორციელებით განსაზღვრულ შედეგებს.

მუნიციპალიტეტმა ინფრასტრუქტურული სამუშაოები უნდა დაგეგმოს ყველა იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს პროექტის წარმატებით დასრულებას ან/და გამოყენებას. კონკრეტული პროექტის დაგეგმვის დროს მუნიციპალიტეტმა შეისწავლოს მის ხელთ არსებული

დასკვნა

¹⁷ SPA150017654.

¹⁸ NAT190016917 - სოფელ მარტოთუბანში მოწყობილია წყლის ორი ავზი, არ არის მოწყობილი ქსელი; CMR 190121549 - სოფელ გამოღმა ბოსღევი წყალსადენები დასასესელია და არ არის ჩართული; CMR 190121549 - სოფელ დიდ წიფელაში ჭაბურღილი არ ფუნქციონირებს, რადგან მოსახლეობა ითხოვს მრიცხველების დაყენებას; CMR 190187097 - სოფელ ზედა საქარაში მრავი არ არის შეძენილი და მოსახლეობა ვერ იყენებს ჭას; NAT180010091 - დაბა შორაპანში დაზიანდა მრავი და მოსახლეობას წყალი აღარ მიეწოდება. NAT170010406 - სოფელ მეორე სვირში მოწყობილ ჭაში წყალი არ ამოდის და უმოქმედოა.

¹⁹ NAT170011557 - ქ. ზესტაფონში სტაროსელისკისა და ჭანტურიას ქუჩების დამაკავშირებელი გვირაბი დაუსრულებელია და საჭიროებს დამატებით სარეზილიტაციო სამუშაოებს. SPA170010406 - სოფელ ცხენთაროში სამი ერთეული ლითონის ცხაურით მოსახლეობა არ სარგებლობს.

რეკომენდაცია №3

2.2.3 საჯარიმო თანხების მოცულობის განსაზღვრის ნაკლოვანებები

ფინანსური და მატერიალური რესურსები და აქედან გამომდინარე განსაზღვროს, რამდენად შესაძლებელია პროექტის განხორციელება და დასახული მიზნის მიღწევა. ამასთანავე, მერიამ შეისწავლოს და შეაფასოს დაუსრულებელი ობიექტების/აქტივის მდგომარეობა და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები დაწყებული ან ალტერნატიული პროექტების დასასრულებლად.

კრიტერიუმი: შემსყიდველმა დაწესებულებამ შესყიდვის პროცესი უნდა წარმართოს და ხელშეკრულების პირობები განსაზღვროს იმგვარად, რომ არ დაუშვას მნიშვნელოვანი მოთხოვნების დარღვევა და შემსყიდველის პირობების გაუარესება. მიწოდების ვადების დაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრევენციული ღონისძიებაა სათანადო საჯარიმო სანქციების დაწესება.

ფაქტობრივი გარემოება: 2018-2019 წლებში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის გაფორმებული 140 ხელშეკრულებიდან, მიწოდების ვადები დაირღვა 30 ხელშეკრულების შემთხვევაში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტმა შესყიდვის პროცესი აწარმოა და ხელშეკრულების პირობები განსაზღვრა არასათანადოდ, რამაც ვერ მოახდინა მნიშვნელოვანი პარამეტრის – მიწოდების ვადების დარღვევის პრევენცია. მათ შორის, მუნიციპალიტეტი მიწოდების ვადის დარღვევისათვის საჯარიმო სანქციას ძირითადად განსაზღვრავდა შესასრულებელი ვალდებულების ან ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.²⁰ ჯარიმები დაბალი განაკვეთის გამო, სავარაუდოდ, ვერ უზრუნველყოფდა ხელშეკრულებების პირობების შეუსრულებლობის პრევენციას. აღნიშნულით მიმწოდებლებს შესაძლებლობა ეძლეოდათ, მიწოდების ვადის მნიშვნელოვანი დარღვევის შემთხვევაშიც კი, მინიმალური დანახარჯებით შეესრულებინათ სახელშეკრულებო პირობები. ინფორმაცია ზოგიერთი ხელშეკრულების ვადაგადაცილებისა და დარიცხული საჯარიმო სანქციების შესახებ წარმოდგენილია ცხრილში:

²⁰ საჯარიმო სანქცია 0.02%-ის ოდენობით, უმეტეს შემთხვევაში გამოყენებულია 2018 წელს.

ცხრილი №2. მონაცემები დარიცხული საჯარიმო სანქციების შესახებ

№	სამუშაოს დასახელება	ხელშეკრულების ფასი (ათასი ლარი)	სამუშაოს ბის დასრულებული ბის ვადა (დღეები)	ვადა გადაცილებული დღეები	ჯარიმის ზღვრა ²¹ (ათასი ლარი)
1.	ქ. ზესტაფონში, ბიბილაშვილის ქ. №3-ის მიმდებარედ სკვერისა და ტროტუარების სარეაბილიტაციო სამუშაოები; ბიბილაშვილის ქუჩა №14-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ეზოს რეაბილიტაცია; ბიბილაშვილის ქუჩა №4/6-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ეზოს რეაბილიტაცია; ბიბილაშვილის ქუჩა №2-სა და რობაქიძის ქ. №5-ში მდებარე საცხოვრებელი სახლების ეზოების რეაბილიტაცია და სხვ.	344.2	60	182	17.2
2.	ქ. ზესტაფონში, ასლანიკაშვილის სანაპიროზე მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მიმდებარედ მოძრაობის მოსაწყობად გამყოფი ბილიკების, წრის და მწვანე გაზონის მოწყობის სამუშაოების, ქ. ზესტაფონში ჭანტურიას ქუჩაზე ფაბრიკის მიმდებარედ არსებული წრის კეთილმოწყობის სამუშაოების და მელქამის ქუჩაზე სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულება.	450.9	60	173	15.4
3.	ქ. ზესტაფონში მაღლაკელიძისა და შათირიშვილის ქუჩებზე ბორდიურებისა და ტროტუარების სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და ზაქარიაძის ქუჩაზე ახალი ხიდიდან ჩხეიძის ქუჩის ასახვევამდე ტროტუარებისა და ბორდიურების სარეაბილიტაციო და ღობეების მოწყობის სამუშაოების - შესყიდვა.	371.9	90	126	11.4
4.	ქვედა საზანოს ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფ. შიმშილაქედის გადასასვლელთან საჭიდაო დარბაზის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა.	157.2	90	79	3.1
5.	ზაპოროჟიეს ქუჩის რეაბილიტაციის, ფიროსმანის ქუჩის მეორე ჩიხის რეაბილიტაციის და ლეონიძის ქუჩის ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოების შესყიდვა.	334.1	60	48	3.2

დასკვნა

მუნიციპალიტეტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებების პირობებმა და გამოყენებული საჯარიმო სანქციების მოცულობამ ვერ განაპირობა მისი ინტერესების სათანადო დაცვა და მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების პირობების დარღვევის პრევენცია, რის გამოც სამუშაოები მუნიციპალიტეტს მიეწოდებოდა დაგვიანებით.

რეკომენდაცია №4

მუნიციპალიტეტის მერიამ ხელშეკრულების პირობები განსაზღვროს იმგვარად, რომ მაქსიმალურად იყოს დაცული მისი, როგორც შემსყიდველი ორგანიზაციის ინტერესი; მათ შორის, დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების დროულად განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, გამოიყენოს საჯარიმო სანქციები, რომლებიც უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტების მიწოდების დაგვიანების პრევენციას.

²¹ დარიცხულ ჯარიმებში შედის გეგმა-გრაფიკის დარღვევაზე გავრცელებული სანქცია.

2.2.4 მიწოდების ვადების უსაფუძვლო ცვლილებები

კრიტერიუმი: სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის შესაბამისად,²² შესყიდვის მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს საქონლის მიწოდების, მომსახურების გაწევის ან/და სამუშაოს შესრულების ვადას. ხელშეკრულების პირობები შეიძლება შეიცვალოს და სამუშაოს დასრულების ვადა გადაიწიოს მხოლოდ წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო. ნებისმიერი ცვლილება დაუშვებელია, რომელსაც მოჰყვება შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.²³

ფაქტობრივი გარემოება: 2018-2019 წლებში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის გაფორმებული 140 ხელშეკრულებიდან, საერთო ღირებულებით – 17,314.3 ათასი ლარი, ობიექტების მიწოდების ვადები მუნიციპალიტეტმა გაზარდა 30 ხელშეკრულებისათვის, რომელთა ჯამური ღირებულება 6,288.9 ათას ლარს (40%) შეადგენს.²⁴ მიწოდების დროის მინიმალური ზრდა – 5, ხოლო მაქსიმალური ზრდა – 104 დღეა. აღსანიშნავია, რომ 27 შემთხვევიდან 13 ხელშეკრულების ფარგლებში, მიმწოდებლებმა ვერც გაზრდილ ვადებში შეძლეს სამუშაოების დასრულება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ვადების ცვლილების მიზეზად, ძირითადად, დასახელებულია სახარჯთაღრიცხვო ხარვეზები, არახელსაყრელი კლიმატური პირობები, სამუშაოების განხორციელების ორგანიზაციული პრობლემები და გაუთვალისწინებელი სამუშაოები,²⁵ კერძოდ:

- ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას, მუნიციპალიტეტი სამუშაოების შემადგენლობასა და მიწოდების ვადებს ზრდიდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ცვლილების მოტივით, რაც სისტემურ ხასიათს ატარებდა. კერძოდ, სამშენებლო სამუშაოების შესრულებისას, მუნიციპალიტეტმა 140 ხელშეკრულებიდან არსებითად დააკორექტირა 32 ხელშეკრულების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.²⁶

საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება რიგ შემთხვევებში იწვევდა ობიექტების მიწოდების ვადების გაზრდას. კერძოდ, 2018-2019 წლებში, საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილების საფუძველზე, მიწოდების ვადა გაზრდილია 17 ხელშეკრულებისათვის,²⁷ რომელთა ღირებულება 3,409.8 ათასი ლარია.

²² „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება, მუხლი 33.

²³ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 21, პუნქტი 5.

²⁴ ხელშეკრულებების ჯამური ღირებულების 33%.

²⁵ ცვლილებების შეტანისას ზოგჯერ ერთდროულად გამოყენებულია რამდენიმე პირობა.

²⁶ სამშენებლო სამუშაოების შესრულებისას პროექტში შეტანილმა კორექტირებებმა ზოგ შემთხვევაში მთლიანად შეცვალა შესასრულებელი სამუშაოები. მაგალითად, რამდენიმე შემთხვევაში, ასფალტის საფარის ნაცვლად მოწყობილია ბეტონის საფარი, მონოლითური სანიაღვრე არხის ნაცვლად - ანაკრები ბეტონის სანიაღვრე არხი. ასევე დამატებულია განსხვავებული შემადგენლობის სამუშაოები და სხვ. გამომდინარე აქედან, ხარჯთაღრიცხვებში ახალი სამუშაოების ერთეულის ფასები არ არის დადგენილი ტენდერით და შესაძლებელია იყოს საბაზრო ღირებულებაზე მეტი. ამასთანავე, რეალური ხარჯთაღრიცხვის მიხედვით გამოცხადებულ ტენდერებში შესაძლოა დამდგარიყო სხვა შედეგი და გაზრდილიყო ეკონომიკური სარგებელი, სატენდერო ეკონომიის სახით.

²⁷ NAT170013740, NAT180004271, NAT180006031, NAT180011761, NAT180011764, NAT180019287, NAT190005764, NAT190006408, NAT190006409, NAT190006900, NAT190007948, NAT190008163, NAT190013660, NAT190013664, NAT190016918, NAT 1900417603, CMR190153008;

ზოგიერთ შემთხვევაში სამუშაოების მიწოდების ვადა გაზრდილია 2 თვით და მეტი,²⁸ მაგალითად:

2017 წლის 29 ნოემბერს მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულება გააფორმა შპს „აკაიასთან“ ქ. ზესტაფონში, ბიბილაშვილის ქუჩისა და მიმდებარე ტერიტორიების რეაბილიტაციის მიზნით,²⁹ ღირებულებით – 344.2 ათასი ლარი. სამუშაოების დასრულება გათვალისწინებული იყო 2018 წლის 29 იანვარს. მუნიციპალიტეტმა სამუშაოების მიწოდების ვადა ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვის ცვლილებისა და უამინდობის მოტივით ორჯერ გაზარდა 91 დღით. მათ შორის, შესასრულებელი სამუშაოების კორექტირების გამო, ხელშეკრულებაში ცვლილება შევიდა 5-ჯერ და მოქმედების ვადა 30 ოქტომბრამდე გადაიწია.³⁰

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სამუშაოების დასახელებები და მოცულობები მნიშვნელოვნადაა შეცვლილი და მერიამ მიიღო სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულთან შედარებით არსებითად განსხვავებული პროდუქტი. კერძოდ, საცხოვრებელი სახლების ეზოებში ასფალტის ნაცვლად დაიგო ბეტონის საფარი; არ განხორციელდა გამწვანების სამუშაოები; არ მოეწყო საპარკე სკამები, არ შემოტანილა მიწის ფენა და არ დათესილა ბალახი; შეიცვალა და დაკორექტირდა შესრულებული სამუშაოების უმეტესი ნაწილი და სხვ.

• მუნიციპალიტეტმა შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები უამინდობის მოტივით გაზარდა 6 ხელშეკრულების³¹ შემთხვევაში, ღირებულებით – 1,849.4 ათასი ლარი. ცვლილების საფუძველია სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოდან წარმოდგენილი ცნობები ნალექიანი დღეების რაოდენობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ საპროექტო დაწესებულებების მიერ სამუშაოების შესასრულებლად დადგენილი ვადა, როგორც წესი, ითვალისწინებს ნალექიან დღეებსაც. მუნიციპალიტეტი შესყიდვის პროცედურას ატარებს აღნიშნული პრინციპის გათვალისწინებით, რომელსაც ეთანხმება პრეტენდენტიც. გარდა ამისა, მიმწოდებლების მიერ წარმოდგენილი ცნობები შეიცავს მონაცემებს კონკრეტულ პერიოდში ნალექიანი დღეების რაოდენობის შესახებ და არ მიუთითებს, რომ ეს მონაცემები აღემატება რეგიონის საშუალო მაჩვენებელს და ფორსმაჟორულია. ამდენად, უამინდობის მოტივი მუნიციპალიტეტს მიწოდების ვადების გაზრდისათვის არ უნდა გათვალისწინებინა, არ უნდა გაეზარდა სამუშაოების დასრულების ვადა და მიმწოდებელზე გავრცელებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, მაგალითად:

მუნიციპალიტეტმა 2018 წელს შეისყიდა ქ. ზესტაფონის 7 ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოები.³² ხელშეკრულება 17 ოქტომბერს გაფორმებულია შპს „ბორანთან“, ღირებულებით – 629.0 ათასი ლარი. სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 2019 წლის 17 იანვარს, თუმცა მიმწოდებელმა წარმოადგინა

²⁸ 2019 წლის ხელშეკრულებები №87, №88, №94, №101.

²⁹ NAT170012125, ხელშეკრულება №166.

³⁰ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაზრდისას სამუშაოების მიწოდების ვადა არ შეცვლილა.

³¹ NAT170004365, SPA170010406, NAT170012125, NAT180011762, CMR190162462, CMR190114735.

³² NAT180011762.

16 იანვარს გაცემული ცნობა ნალექიანი დღეების შესახებ და მოითხოვა მიწოდების ვადის გაზრდა. მუნიციპალიტეტი დაეთანხმა მიმწოდებლის მოთხოვნას და მიწოდების ვადა გაზარდა 30 დღით – 2019 წლის 18 თებერვლამდე.

აღსანიშნავია, რომ მიმწოდებელს უნდა სცოდნოდა ზამთრის პერიოდში ნალექიანი დღეების მოსალოდნელი ზრდის შესახებ. მიუხედავად ამისა, შპს „ბორანმა“ წარმოდგენილი გეგმა-გრაფიკით სამუშაოების ყველაზე ნაკლები მოცულობა დაგეგმა პირველ თვეში – ოქტომბერში, ხოლო ყველაზე მეტი – დეკემბერ-იანვარში, მათ შორის, 7 ქუჩიდან 2 ქუჩის რეაბილიტაცია გაითვალისწინა ბოლო პერიოდში. ამდენად, სამუშაოების შეფერხების ძირითადი მიზეზი ფაქტობრივად იყო სამუშაოების დაბალი ტემპი და არა ნალექიანი დღეები. შესაბამისად, მიმწოდებელმა ხელშეკრულების პირობები დაარღვია სუბიექტური ფაქტორების გამო და უამინდობა არ უნდა გამხდარიყო ცვლილების საფუძველი. მიმწოდებელმა სამუშაოები 2019 წლის 18 თებერვალს დაასრულა და ღირებულებამ 574.4 ათასი ლარი შეადგინა. იმ შემთხვევაში, თუკი მუნიციპალიტეტი არ გაზრდიდა სამუშაოების მიწოდების ვადას, მიმწოდებელს დაერიცხებოდა 3.7 ათასი ლარის ჯარიმა.³³

2018-2019 წლებში მუნიციპალიტეტმა სამუშაოების მიწოდების ვადის მხოლოდ უამინდობის მიზეზით გაზრდის გამო, საჯარიმო სანქციების სახით ვერ მიიღო, სულ მცირე, 16.0 ათასი ლარის შემოსავალი.³⁴

• ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას, მუნიციპალიტეტი, რიგ შემთხვევებში, სამუშაოების მიწოდების ვადებს ზრდიდა ორგანიზაციული პრობლემების გამო. კერძოდ, დროულად არ სწორდებოდა ხელშეკრულებების შესრულების პროცესში გამოვლენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ხარვეზები; მუნიციპალიტეტი სამუშაოების მიმდინარეობისას დაგვიანებით ან დაუსაბუთებლად იღებდა გადაწყვეტილებებს; ითვალისწინებდა ისეთ საკითხებს, რომლებიც სამუშაოების დაგეგმვის დროსაც უნდა ყოფილიყო ცნობილი და სხვ. 2018-2019 წლებში, აღნიშნული საფუძვლებით, მიწოდების ვადა გაზრდილია 4 ხელშეკრულებისათვის,³⁵ რომელთა ღირებულება 1,217.2 ათასი ლარია, მაგალითად:

მუნიციპალიტეტმა ქალაქის ცენტრალური მოედნის რეკონსტრუქციის მიზნით, 2018 წლის 30 აგვისტოს ხელშეკრულება გააფორმა კომპანიასთან – შპს „ნიკარემსტროის ფილიალი საქართველოში“, ღირებულებით – 636.0 ათასი ლარი.³⁶ ხელშეკრულების მიხედვით, პირობების დარღვევის ან/და ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრებოდა პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.5%-ის ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დარიცხული ჯარიმა

³³ 574.4x0.02%x32=3.7 (0.02 – საჯარიმო სანქციის მოცულობა ხელშეკრულების ღირებულების %-ის სახით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე).

³⁴ SPA170010406 -0.3 ათასი ლარი, NAT170012125-4.1 ათასი ლარი, NAT180011762 -3.7 ათასი ლარი, CMR190162462-4.0 ათასი ლარი, CMR190114735 -4.4 ათასი ლარი, 0.3+4.1+3.7+4.0+4.4=16.5 ათასი ლარი.

³⁵ NAT180004011, NAT180007359, NAT190015567.

³⁶ NAT 180007883, ხელშეკრულება N107.

გადააჭარბებდა ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს მუნიციპალიტეტს უფლება ჰქონდა ცალმხრივად შეეწყვიტა ხელშეკრულება.

მოედნის რეკონსტრუქციის სამუშაოების მიწოდების ვადად განსაზღვრული იყო 2019 წლის 26 თებერვალი. ამ თარიღით ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება და დასრულების ვადა მუნიციპალიტეტმა გაზარდა 25 აპრილამდე. ცვლილების საფუძველად დასახელდა ის გარემოება, რომ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, შესაძლებელი იყო სამუშაო პროცესის ერთი წლით გაჭიანურება. აღსანიშნავია, რომ როგორც დოკუმენტურად მტკიცდება, მიმწოდებელმა სამუშაოების შესრულება დაიწყო ერთი თვის დაგვიანებით. ამასთანავე, ცვლილების განხორციელებისას წარმოდგენილი არ ჰქონდა არც ერთი შესრულებული სამუშაოს აქტი (ფორმა №2).

მიმწოდებელმა ვერც გაზრდილ ვადაში დაასრულა სამუშაოები. 2019 წლის 25 აპრილს მუნიციპალიტეტმა შეწყვიტა ხელშეკრულება და მიმართა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს აღნიშნული მიმწოდებლის ე.წ. „შავ სიაში“ შეყვანის თაობაზე.³⁷

აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების კორექტირების მომენტისთვის მუნიციპალიტეტისთვის უკვე ცნობილი იყო, რომ მიმწოდებელი ვერ ასრულებდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებას. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტმა სამუშაოების მიწოდების ვადის გაზრდისთვის გამოიყენა დაუსაბუთებელი გარემოებები და არ იმოქმედა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. კერძოდ, მუნიციპალიტეტმა სამუშაოების დასრულების ვადა მიმწოდებელს გადაუწია 58 დღით და დროულად არ მიიღო გადაწყვეტილება მისი დაჯარიმების ან/და ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

• მუნიციპალიტეტმა სამუშაოების მიწოდების ვადა ასევე გაზარდა გაუთვალისწინებელი სამუშაოების შესრულების მოტივით. გაუთვალისწინებელი სამუშაოები ხარჯთაღრიცხვის განუყოფელი ნაწილია და შესრულების შემთხვევაში, უნდა განხორციელდეს ობიექტის მიწოდების ვადაში. ამდენად, მუნიციპალიტეტმა აღნიშნული სამუშაოების მიზეზით ხელოვნურად გაზარდა მიწოდების ვადა და არ გამოიყენა საჯარიმო სანქცია, კერძოდ:

მუნიციპალიტეტმა სოფელ არგვეთის ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები 2018 წელს შეისყიდა ტენდერით.³⁸ ხელშეკრულება 13 სექტემბერს გაფორმებულია შპს „კოლხა 2014“-თან, ღირებულებით – 90.3 ათასი ლარი. სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 13 დეკემბერს, მაგრამ იმ მოტივით, რომ პროექტით არ იყო გათვალისწინებული 2.2 ათასი ლარის ღირებულების დამატებითი სამუშაოები, მხარეებმა მიწოდების ვადა 12 დღით გაზარდეს. სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში შესრულებული დამატებითი სამუშაოები, როგორც გაუთვალისწინებელი, უნდა განხორციელებულიყო მიწოდების დადგენილ პერიოდში და მუნიციპალიტეტს არ უნდა გაეზარდა მიწოდების ვადა.

³⁷ მიმწოდებელს აუნაზღაურდა 252.9 ათასი ლარი შესრულებული სამუშაოსათვის და დაუკავდა 18.1 ათასი ლარი - ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის.

³⁸ NAT 180011758, ხელშეკრულება N114.

დასკვნა

მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდული და მშენებლობისათვის გამოყენებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტები შედგენილია მნიშვნელოვანი ხარვეზებით. ხშირ შემთხვევაში, საჭირო გახდა საპროექტო მონაცემების არსებითი კორექტირება, რამაც სამუშაოების მიწოდების ვადების მნიშვნელოვანი ზრდა და ტენდერის შედეგების შესაძლო ცვლილებები გამოიწვია.

მუნიციპალიტეტი სათანადოდ არ იცავდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს და არ ატარებდა საკმარის ღონისძიებებს სამუშაოების დროულად დასასრულებლად. მიწოდების ვადები, რიგ შემთხვევებში, გაზრდილია დაუსაბუთებლად, სათანადო არგუმენტაციის წარმოდგენის გარეშე. მუნიციპალიტეტს სუბიექტური ფაქტორების გამო არ უნდა გაეზარდა სამუშაოების მიწოდების ვადა და მიმწოდებლებზე უნდა გაეგრძელებინა ხელშეკრულებით განსაზღვრული საჯარიმო სანქციები.

მუნიციპალიტეტმა, რიგ შემთხვევებში ვერ უზრუნველყო ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა ორგანიზაციული პროცედურების წარმართვაც, რამაც პროექტების დაგვიანება განაპირობა.

რეკომენდაცია №5

მუნიციპალიტეტის მერიამ განსაზღვროს კონტროლის დამატებითი მექანიზმები, რაც ხელს შეუწყობს ხარისხიანი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენას; ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების ვადების განსაზღვრისას, მაქსიმალურად გაითვალისწინოს სხვადასხვა ფაქტორი და პირობა, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს სამუშაოების დროულ დასრულებაზე; მიწოდების ვადების ცვლილება არ განხორციელოს დაუსაბუთებელი გარემოებებით და გაითვალისწინოს მხოლოდ ობიექტური და ფორსმაჟორული საფუძვლების არსებობა. აღნიშნული ღონისძიებები ხელს შეუწყობს ფაქტობრივად შესასრულებელი სამუშაოებისა და რეალური ვადების განსაზღვრას და გააუმჯობესებს საბიუჯეტო ასიგნებების გეგმურ და თანაბარ ხარჯვას. ამასთანავე, უზრუნველყოფს საბიუჯეტო შემოსავლების გაზრდას და მიმწოდებლების მიმართ ერთგვაროვანი მიდგომის ჩამოყალიბებას.

2.3 შესყიდვების მართვა

კრიტერიუმი: სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის შესაბამისად, დაუშვებელია, პრეტენდენტმა ან მიმწოდებელმა პირდაპირ ან არაპირდაპირ მოახდინოს ზეგავლენა სატენდერო კომისიის წევრზე, მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების მიღების მიზნით. თუ სატენდერო კომისიის წევრისათვის ცნობილი გახდება პრეტენდენტის ან მიმწოდებლის ვინაობა, იგი ვალდებულია წერილობით დაადასტუროს, რომ ამ შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს. კონფლიქტის წარმოშობის შემთხვევაში, კომისიის წევრმა დაუყოვნებლივ უნდა განაცხადოს აღნიშნულის თაობაზე და შეწყვიტოს მონაწილეობა ამ შესყიდვის განხორციელებაში.³⁹

³⁹ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 8.

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები ეხება სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ შემდეგ საქმიანობას: საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების განხილვა, შერჩევა და შეფასება; მოლაპარაკების გამართვა; ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლი და ზედამხედველობა და სხვ.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის ძირითადი მიზანია განისაზღვროს ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის საჭირო სამუშაოების დასახელება და სავარაუდო ღირებულებები.

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტმა 2018-2019 წლებში 128.0 ათასი ლარის⁴⁰ საერთო ღირებულების საპროექტო მომსახურება შეისყიდა შპს „ზესტაფონპროექტისგან“. მიმწოდებელთან გაფორმებულია სულ 14 ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა 230 სხვადასხვა პროექტის განხორციელებას. მომსახურება შესყიდულია ელექტრონული ტენდერის საშუალებით. შესყიდვის პროცესში მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიის 2 წევრი მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში იმყოფებოდა, რაც დადასტურებულია ხელმოწერებით.⁴¹

შესყიდვის დოკუმენტაციის შესწავლით გამოვლინდა, რომ ინტერესთა კონფლიქტში მყოფ პირებს არ შეუწყვეტიათ და მონაწილეობენ თოთხმეტივე ტენდერის ჩატარების პროცესში, კერძოდ, პრეტენდენტების საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების განხილვაში/შერჩევაში/შეფასებაში მათი მონაწილეობა დასტურდება კომისიის შესაბამისი საოქმო გადაწყვეტილებებით. გარდა ამისა, კომისიის ერთ-ერთი წევრი ზედამხედველობდა/აკონტროლებდა ხელშეკრულების შესრულებას და მონაწილეობდა ხელშეკრულების კორექტირების პროცესში, რასაც ადასტურებს დოკუმენტებზე მისივე ხელმოწერა.⁴²

არსებობს რისკი, რომ საპროექტო მომსახურების ინტერესთა კონფლიქტის პირობებში შესყიდვამ გავლენა იქონია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ხარისხზე. კერძოდ, სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობისას გამოვლინდა, რომ პროექტებში არ იყო გათვალისწინებული ყველა სამუშაო, დაუზუსტებელი იყო მოცულობები და სხვ. შედეგად, შესყიდული 230 სხვადასხვა პროექტის განხორციელებისათვის გაფორმებული ხელშეკრულებებიდან, სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის უხარისხობის გამო, მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა 10 ხელშეკრულებაში, რამაც სამუშაოების მიწოდების ვადის გაზრდა გამოიწვია.

მუნიციპალიტეტში ზოგიერთი ტენდერისა და ხელშეკრულების შესრულებისას გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობდნენ სატენდერო კომისიის ის პირები, რომლებიც ინტერესთა კონფლიქტში იმყოფებოდნენ ტენდერში მონაწილე და შემდგომ უკვე კონტრაქტორ პირთან. არსებობს რისკი, რომ

დასკვნა

⁴⁰ 2018 წელს - 33.4 ათასი ლარი; 2019 წელს - 66.8 ათასი ლარი; 2020 წელს ანაზღაურებულია 27.8 ათასი ლარი.

⁴¹ ფირმის დირექტორი სატენდერო კომისიის წევრთან ნათესაურ კავშირშია (მამა), ხოლო კომპანიის ერთ-ერთი მფლობელი, სატენდერო კომისიის წევრია.

⁴² NAT180019000; NAT190014890; NAT190017111; NAT190021602; NAT190022893.

მიმწოდებელი ზეგავლენას ახდენდა კომისიის წევრებზე, მისთვის სასარგებლო გადაწყვეტილებების მისაღებად, რაც წარმოშობს სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას და ქმნის შესყიდვის არასამართლიან და არაობიექტურ გარემოს. გარდა ამისა, გამოვლინდა, რომ პროექტების მნიშვნელოვანი ნაწილი უხარისხოა, რამაც სამშენებლო სამუშაოების ვადების გაზრდა გამოიწვია.

2.4 მოსახლეობის წყალმომარაგება

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებები: წყალმომარაგების (მათ შორის, ტექნიკური წყლით მომარაგების) და წყალარინების უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტი მომსახურებას უზრუნველყოფს შესაბამისი ლიცენზიანტი კერძო სამართლის სუბიექტების საშუალებით.⁴³ კანონმდებლობის მიხედვით, სასმელი წყალი უნდა იყოს უსაფრთხო, უვნებელი და აკმაყოფილებდეს ქვეყანაში მოქმედ სტანდარტებს. სასმელი წყლის მიმწოდებელი ორგანიზაცია ვალდებულია აწარმოოს წყლის ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მაჩვენებლებთან შესაბამისობის კონტროლი და მონიტორინგი.⁴⁴

ფაქტობრივი გარემოება. ქ. ზესტაფონისა და დაბა შორაპნისათვის წყლის მიწოდებას უზრუნველყოფს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია. დანარჩენი დასახლებული პუნქტებისათვის წყალმომარაგების უზრუნველყოფა ფუნქციურად არ ევალუა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არც ერთ სუბიექტს. 2015 წლიდან მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული პრიორიტეტების დოკუმენტები არ ითვალისწინებს სასმელი წყლის სისტემების დაფინანსებას. შესაბამისად, მოსახლეობის წყალმომარაგების პრობლემების მოგვარება მუნიციპალიტეტის მიერ პრიორიტეტად არ არის მიჩნეული. ამ მიმართულებით თანხების გამოყოფას არც 2020 წელს მიღებული დოკუმენტი ითვალისწინებს, 2020-2023 წლების სამოქმედო პერიოდისათვის.

2018-2019 წლებში ადგილობრივი ბიუჯეტიდან სხვადასხვა სოფლის მოსახლეობის წყალმომარაგების უზრუნველყოფის მიზნით, სულ გაწეულია მხოლოდ 210.2 ათასი ლარის ხარჯი. აქედან, თანხის დიდი ნაწილი – 144.5 ათასი ლარი მოდის 2019 წელს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მოსახლეობის მიერ შერჩეულ პროექტებზე (ჭების მოწყობა, ავზების, წყლის მიღებისა და სხვა მასალების შეძენა). შედეგად, წყლის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციის მიზნით განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები არასაკმარისია და ვერ უზრუნველყოფს სასმელ წყალზე მოსახლეობის უმეტესი ნაწილის ყოველდღიური მოთხოვნის დაკმაყოფილებას. კერძოდ, მუნიციპალიტეტის 57 სოფელში მცხოვრები 17611 ოჯახიდან: 2761 ოჯახს წყალი მიეწოდება მუდმივად; 10665 ოჯახს წყალი მიეწოდება გრაფიკით; 4185 ოჯახს წყალი ცენტრალიზებულად არ მიეწოდება და სარგებლობს ჭებითა და წყაროებით.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტი არ აწარმოებს სასმელი წყლის ლაბორატორიულ კვლევას. ჭები და სათავე ნაგებობები, საიდანაც მოსახლეობას

⁴³ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 16, პუნქტი 2, „თ“ ქვეპუნქტი; მუხლი 163, პუნქტი 1.

⁴⁴ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №58 დადგენილება „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“.

დასკვნა

წყალი მიეწოდება, არ არის აღჭურვილი წყლის დაქლორვის საშუალებებით. პასუხისმგებელი პირების განმარტებით, სოფლის მოსახლეობაზე მიწოდებული წყლის ხარისხი არ მოწმდება.

მოსახლეობის წყალმომარაგების პრობლემის გადასაწყვეტად, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განხორციელებული სამუშაოების ნაწილი დაუსრულებელია. კერძოდ, პროგრამის დაფინანსების სიმცირის გამო ვერ მოხერხდა მოწყობილი ჭების გამოყენება – დასაქვლია სისტემა, შესაძენია ძრავები, მრიცხველები და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ ანგარიშზე მუდმივად ერიცხება საკმარისი თავისუფალი ნაშთი, მუნიციპალიტეტმა არ გამოყო დაფინანსება პროგრამის ფარგლებში დაწყებული სამუშაოების დასასრულებლად.

2018-2019 წლებში წყლის მომხმარებელი აბონენტების გამრიცხველიანების სამუშაოები არ დაფინანსებულა, რაც ხელს შეუწყობდა წყლის ეკონომიას და თანაბარ განაწილებას.

მუნიციპალიტეტში არსებობს მოსახლეობის წყალმომარაგების მნიშვნელოვანი პრობლემები: მოსახლეობის უმეტეს ნაწილს სასმელი წყალი არ მიეწოდება ან მიეწოდება შეფერხებით; მიწოდებული წყალი არ იწმინდება და მისი ხარისხი არ მოწმდება. პრობლემის მოსაგვარებლად ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები არ არის საკმარისი. მიუხედავად იმისა, რომ პრობლემა სისტემურ ხასიათს ატარებს, მუნიციპალიტეტის მიერ აღნიშნული საკითხი არ არის მიჩნეული პრიორიტეტად და პასუხისმგებელ პირებს ქმედითი ღონისძიება საკითხის მოსაგვარებლად არ განუხორციელებიათ.

რეკომენდაცია №6

მერია, საკრებულოსთან შეთანხმებით, დაგეგმოს და განახორციელოს კომპლექსური ღონისძიებები, რომლებიც გონივრულ ვადაში უზრუნველყოფს წყალმომარაგების მოწესრიგებას და წყლის ხარისხის შემოწმებას. ამასთანავე, ღონისძიებათა გეგმა უნდა ითვალისწინებდეს როგორც წყლის, ასევე საბიუჯეტო რესურსების რაციონალურ ხარჯვას. აღნიშნული ხელს შეუწყობს მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას და წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებას.

2.5 წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება

2.5.1 საკრებულოს წევრებზე დასაბუთების გარეშე გაწეული ხარჯები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრი, გარდა თანამდებობის პირისა, თავის უფლებამოსილებას ახორციელებს სამსახურებრივი საქმიანობისაგან მოუწყვეტლად. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად,⁴⁵ მას შეიძლება აუნაზღაურდეს უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორცაა, საკრებულოსა და კომისიის სხდომების, დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობის მიღების, ამომრჩეველთან შეხვედრების, ასევე საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის ცალკეული დავალების შესრულებისათვის საჭირო ხარჯები. მოქმედი კანონმდებლობის

⁴⁵ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 41.

შესაბამისად,⁴⁶ ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტია პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი, სადაც მითითებულია დოკუმენტის დასახელება, შედგენის თარიღი, სამეურნეო ოპერაციის შინაარსი, რაოდენობა, ფასი, თანხა, სამეურნეო ოპერაციაში მონაწილე მხარეთა დასახელება, დოკუმენტის სწორად გაფორმებისათვის პასუხისმგებელ პირთა ხელმოწერები და სხვა მონაცემები.

ფაქტობრივი გარემოება. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს (არათანამდებობის პირები) 2018-2019 წლებში ხარჯების ანაზღაურების სახით მიღებული აქვთ სულ 190.7 ათასი ლარი.⁴⁷ საკრებულოს დადგენილებით, აღნიშნულ პირებზე ხარჯების ასანაზღაურებლად განსაზღვრული იყო ზღვრული მოცულობა, ყოველთვიურად 420 ლარის ოდენობით.⁴⁸

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად, საკრებულოს არათანამდებობის პირებს ეძლევათ არა ფიქსირებული გასამრჯელო, არამედ უნაზღაურდებათ უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები. შესაბამისად, თანხის გაცემის საფუძველი უნდა იყოს ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა დოკუმენტური მტკიცებულებები საკრებულოს წევრების ხარჯების დასადასტურებლად. შესაბამისად, საკრებულოს წევრებზე თანხების გაცემა ვერ ჩაითვლება წარმოშობილი ხარჯების ანაზღაურებად, რადგან საფუძვლად არ უდევს ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი.

აღსანიშნავია, რომ საკრებულოს წევრებზე ანაზღაურებულია დადგენილებით განსაზღვრული მაქსიმალური თანხები, რაც მიანიშნებს დაუსაბუთებლად თანხების გაცემაზე, რადგან შეუძლებელია საკრებულოს ყველა წევრს ჰქონდეს ერთი და იგივე შესასრულებელი დავალება და იდენტური ხარჯი.

ხარვეზი საკრებულოს წევრებზე კანონმდებლობის დარღვევით ანაზღაურებული ხარჯების შესახებ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ დაფიქსირებულია ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2014-2015 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიშში. მიუხედავად ამისა, არსებული პრობლემა კვლავ მოუგვარებელია.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტმა 2018-2019 წლებში მუნიციპალიტეტის საკრებულოს არათანამდებობის პირებზე ხარჯების ასანაზღაურებლად 190.7 ათასი ლარი გასცა შესაბამისი დოკუმენტური დადასტურების გარეშე, საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ.

დასკვნა

2.5.2 მივლინების პროცესში არსებული ნაკლოვანებები

კრიტერიუმი: ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინების ძირითადი მიზანია იქ არსებული პრაქტიკის გაცნობა, გამოცდილების გაზიარება, მხარეებისათვის საჭირო ინფორმაციის მიღება და სხვ. საუკეთესო პრაქტიკიდან გამომდინარე

⁴⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერს №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ მე-5 მუხლი.

⁴⁷ 2018 წელს - 100.0 ათასი ლარი; 2019 წელს - 90.7 ათასი ლარი.

⁴⁸ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 აგვისტოს №21 დადგენილება.

მნიშვნელოვანია, რომ პირმა მივლინებაში ყოფნის პერიოდში მიღებული ცოდნა და გამოცდილება წარმოადგინოს ანგარიშის სახით და გაუზიაროს თანამშრომლებს. ანგარიში უნდა შეიცავდეს ყველა იმ ინფორმაციას, რომელიც სასარგებლო და საჭიროა საჯარო დაწესებულების შემდგომი საქმიანობის შედეგების გაუმჯობესებისათვის.

ფაქტობრივი გარემოება: 2018-2019 წლებში მუნიციპალიტეტმა ქვეყნის ფარგლებს გარეთ სამსახურებრივ მივლინებაზე დახარჯა 21.1 ათასი ლარი, მათ შორის, 2018 წელს – 6.7 ათასი ლარი, ხოლო 2019 წელს – 14.4 ათასი ლარი. საზღვარგარეთ მივლინებით ისარგებლა 11-მა პირმა. მერიამ ვერ წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტური დადასტურება, რა კონკრეტული შედეგი მიიღო მუნიციპალიტეტმა თანამდებობის პირებისა და საჯარო მოხელეების საზღვარგარეთ მივლინების შედეგად. მივლინებული პირების მიერ არ არის მომზადებული ანგარიში მივლინების მიმდინარეობის, შედეგებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. შედეგად, მივლინებული პირების მიერ არ ხდება მიღებული ცოდნისა და გამოცდილების თანამშრომლებისათვის გაზიარება და მუნიციპალური საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით მისი პრაქტიკაში გამოყენება.

რეკომენდაცია №7

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითმა ორგანომ აღმასრულებელ ორგანოსთან შეთანხმებით, შეიმუშაოს წესი საჯარო მოხელის ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინების შესახებ. აღნიშნული წესით უნდა განისაზღვროს მივლინების მიზნები, რომლებიც შეესაბამება მუნიციპალიტეტის საჭიროებებს და ინტერესებს. მივლინებულ პირს უნდა ევალებოდეს ანგარიშის წარმოდგენა მივლინების შედეგების შესახებ. ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას მივლინების მიმდინარეობის, მიღწეული მიზნებისა და შედეგების შეფასების შესახებ. აღნიშნული უზრუნველყოფს მივლინებაში მიღებული ცოდნისა და გამოცდილების თანამშრომლებს შორის გაზიარებას.

2.5.3 სხვა ორგანიზაციაში დასაქმებული პირების დაფინანსება

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი, რომლის გადაწყვეტაც საქართველოს კანონმდებლობით არ არის ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილება, ხოლო სახელმწიფო ორგანოს უფლებამოსილება მუნიციპალიტეტს ნაწილობრივ ან სრულად გადმოეცემა, შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსების უზრუნველყოფით.⁴⁹ მუნიციპალიტეტი ქირაობს საჯარო მოსამსახურეებს საკუთარი საქმიანობის ორგანიზებისა და უფლებამოსილებების განსახორციელებლად და გასცემს მათზე შესაბამის ანაზღაურებას.

ფაქტობრივი გარემოება: 2018-2019 წლებში მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ადმინისტრაციული სამსახურის შტატში ირიცხებოდა ორი თანამშრომელი, რომლებიც დასაქმებული იყვნენ დაბა შორაპანში მდებარე იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივ ცენტრში. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ისინი ასრულებენ იუსტიციის

⁴⁹ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლები: 16, 17.

სამინისტროს უფლებამოსილებით განსაზღვრულ სამუშაოებს და მოსახლეობას უწევს სხვადასხვა სერვისულ მომსახურებას: დაბადების მოწმობის, ქორწინების მოწმობის, გარდაცვალების შესახებ, ქონებრივი უფლების, სამუშაო სტაჟის საარქივო ცნობების გაცემას და სხვ. საზოგადოებრივ ცენტრში დასაქმებული პირები ანგარიშვალდებული იყვნენ იუსტიციის სამინისტროს წინაშე. აღნიშნულ პირებზე გაწეულმა ხარჯებმა (შრომის ანაზღაურება, მივლინება) შეადგინა სულ – 46.0 ათასი ლარი, მათ შორის, 2018 წელს – 23.2 ათასი ლარი, 2019 წელს – 22.8 ათასი ლარი.⁵⁰

დასკვნა

მუნიციპალიტეტში დასაქმებულ ორი მოსამსახურეზე, რომლებიც ასრულებდნენ სხვა ორგანიზაციის დავალებებს, 2018-2019 წლებში გაწეულია 46.0 ათასი ლარის ხარჯი. მიზანშეწონილია, მუნიციპალიტეტმა შეზღუდული ფინანსური რესურსები გამოიყენოს საკუთარი საქმიანობის ორგანიზებისა და უფლებამოსილებების განსახორციელებლად.

2.6 დაფუძნებული იურიდიული პირების მართვა

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტს, თავისი საქმიანობის კოორდინაციის მიზნით, უფლება აქვს დააფუძნოს იურიდიული პირები, რომლებიც ორგანიზებას გაუწევენ მისი უფლებამოსილების სფეროში განსახორციელებელ ერთობლივ ღონისძიებებს.⁵¹ დაწესებულების ხელმძღვანელმა ორგანიზაციისა და მის დაქვემდებარებულ ყველა ერთეულში უნდა დანერგოს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემა. აღნიშნული უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ ორგანიზაციაში უზრუნველყოფილ იქნეს ფულადი სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენება.⁵²

ფაქტობრივი გარემოება: 2018-2019 წლებში ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მფლობელობაში იმყოფებოდა 21 შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება⁵³ და 12 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი. დაფუძნებული სუბიექტების მართვის, მათი საქმიანობისა და ხელმძღვანელი პირების მიერ მიღებული მმართველობითი გადაწყვეტილებების შესწავლით გამოვლინდა არსებითი ხასიათის სისტემური დარღვევები, კერძოდ:

2018-2019 წლებში შპს-ებს მერიისათვის არ წარუდგენიათ გრძელვადიანი განვითარების ბიზნესგეგმები და მისი შესრულების შედეგები, ასევე ანგარიში წლის განმავლობაში დაგეგმილი კონკრეტული სამუშაოებისა და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ. შედეგად, მუნიციპალიტეტი არ ფლობს დოკუმენტურ ინფორმაციას სუბიექტების მიერ შესრულებული სამუშაოების მოცულობების, მათი ხარისხის, შემოსავლების სისრულის, ქონების ეფექტიანი გამოყენების, კადრების ოპტიმალურობის შესახებ და სხვ. მუნიციპალიტეტმა სრულად და დროულად არ შეისწავლა რამდენად სრულყოფილად და მიზანშეწონილად ასრულებენ თავიანთ ფუნქცია-

⁵⁰ 2020 წლიდან შტატები გადავიდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში.

⁵¹ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 20, პუნქტი 2.

⁵² „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 6.

⁵³ მათ შორის, 17 შპს არის მუნიციპალიტეტისათვის 2011 წელს სახელმწიფოსგან გადმოცემული სოფლის ამბულატორიები. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ამბულატორიები სამეწარმეო საქმიანობას არ ეწევიან, ამჟამად ფუნქციონირებენ ოჯახის ექიმების სტატუსით და დაფინანსებას იღებენ ჯანდაცვის სამინისტროდან.

მოვალეობებს სუბიექტები. ამდენად, მათი საქმიანობის ეფექტიანობა, დაფუძნების მიზნებთან მიმართებაში, არ არის გაანალიზებული, მაგალითად:

შპს „ზესტაფონის მუნიციპალური პარკირების რეგულირების საწარმო“

შპს „ზესტაფონის მუნიციპალური პარკირების რეგულირების საწარმო“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ქალაქ ზესტაფონის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მომსახურება. პარკირება ხორციელდება ქალაქ ზესტაფონის ტერიტორიაზე არსებულ 25 მიწის ნაკვეთზე, საიდანაც ფასიანია 10 ნაკვეთი.⁵⁴ 2018 წელს შპს-ის მიერ ამოღებულმა პარკირების მოსაკრებელმა შეადგინა 10.4 ათასი ლარი, ხოლო 2019 წელს – 8.3 ათასი ლარი. მიღებული შემოსავალი, ძირითადად, მიმართულია დასაქმებულთა ხელფასების დასაფარავად. მუნიციპალიტეტს საწარმოს საქმიანობით ფინანსური სარგებელი არ მიუღია.

აუდიტის ჯგუფის მოსაზრებით, პარკირების მოსაკრებლის გადახდის სისტემა მოსაწესრიგებელია და შესაძლოა ხდება მიღებული თანხების დამალვა, კერძოდ, არსებობს რისკი, რომ მოსაკრებლების დიდი ნაწილი საწარმოს შემოსავალში დოკუმენტურად არ აღირიცხება. აღნიშნული დასტურდება შემდეგი გარემოებებით:

საწარმოში დასაქმებულთა საშუალო ხელფასი შეადგენს თვეში 35 - 45 ლარს. მათ შორის, დირექტორის საშუალო ხელფასი – 200 ლარი, ხოლო პარკირების მოსაკრებლის ამკრეფი 13 კონტროლიორის⁵⁵ ხელფასი თვეში 20-25 ლარია. ამდენად, არაგონივრულია კონტროლიორის რეალური შემოსავალი იყოს დღეში 67 თეთრი.

წარმოდგენილი მონაცემებით, შპს იყენებს მუნიციპალიტეტიდან გადაცემულ 10 მიწის ნაკვეთს და მოსაკრებელს იღებს მხოლოდ 69 ერთეული სადგომიდან. მუნიციპალიტეტიდან შპს-ზე გადაცემული 10 მიწის ნაკვეთზე მოწყობილი პარკირების ადგილები დათვალიერების მომენტში⁵⁶ იყო შევსებული და მათზე ერთდროულად განთავსებული იყო არა 69, არამედ 190-200 ავტომობილი. იმ შემთხვევაშიც კი, თუ დღის განმავლობაში თითოეული საპარკინგე ადგილი მხოლოდ ორჯერ იქნებოდა გამოყენებული, საწარმოს წლიური შემოსავალი უნდა იყოს, მინიმუმ, 40.0 ათასი ლარი (190 ავტომანქანა X 0.3 ლარი X 365 დღე X 2=41.6 ათასი ლარი). რეალურად კი ზოგიერთი ავტოსადგომი დატვირთულია მთელი დღის განმავლობაში და შპს-ის ფაქტობრივი შემოსავალი გაცილებით მეტია.

მოწოდებული ინფორმაციით, საწარმომ აჩვენა, რომ 15 ავტოსადგომი დაუბეგრავი ტერიტორიაა. დათვალიერებისას ავტომანქანებით დატვირთული იყო აღნიშნული ადგილებიც. მიუხედავად ამისა, შპს „ზესტაფონის

⁵⁴ ავტომანქანის პარკირება ერთი საათით შეადგენს 0.3 ლარს, ხოლო საათზე მეტი დროით – 1 ლარს. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, საფასურს მძღოლები იხდიან ნაღდი ანგარიშსწორებით. საწარმოს კონტროლიორები აკრეფილ თანხას ყოველდღიურად აბარებენ ბუღალტერიაში.

⁵⁵ მოსაკრებლის ამოღებაზე წლის განმავლობაში ერთდროულად დასაქმებული პირების საშუალო რაოდენობა.

⁵⁶ 12.06.2020 წელი.

მუნიციპალური პარკირების რეგულირების საწარმო“ არ კრფეს პარკირების საფასურს და კარგავს დამატებით შემოსავლებს.

შპს „ყვირილა“

შპს „ყვირილა“ განკარგავს მუნიციპალიტეტიდან მიღებულ 2 მიწის ნაკვეთს, საერთო ფართობით – 12,792.0 კვ. მ და შენობა-ნაგებობას – ფართობით 873.0 კვ.მ. შპს-ის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს გადაცემულ ტერიტორიაზე ბაზრობის მოწყობა – პირუტყვით, მარცვლეულით, ფქვილით ვაჭრობის ორგანიზება, აგრეთვე ქონების იჯარით გაცემა. შპს „ყვირილას“ 2018-2019 წლებში სულ მიღებული აქვს 110.1 ათასი ლარის შემოსავლი. აქედან, ბაზრობების მოწყობიდან მიღებული გადასახადი 33.7 ათასი ლარია, ხოლო 76.4 ათასი ლარი შემოსულია ქონების იჯარიდან. მუნიციპალიტეტს ფინანსური სარგებელი საწარმოს საქმიანობიდან არ მიუღია.

წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ შპს-ის 28 სუბიექტზე იჯარით გაცემული აქვს 1,394.0 კვ.მ ფართი. საიჯარო ტერიტორიებიდან საჯარო რეესტრში დარეგისტრირებულია მხოლოდ 2 მოიჯარეზე გაცემული 440 კვ.მ ფართი. იჯარის წლიური გადასახადი 1 კვ.მ ფართზე მერყეობს 13-დან 75 ლარის ფარგლებში.

საწარმოს მიერ ქონების განკარგვის პროცესი შეიცავს რისკს, რომ მიღებული შემოსავლების ნაწილი შემოსავალში დოკუმენტურად არ აღირიცხება, კერძოდ:

საწარმოში დასაქმებულთა საშუალო ხელფასი შეადგენდა თვეში 151-192 ლარს. მათ შორის, დირექტორის საშუალო ხელფასი – 234 ლარი, ხოლო მოსაკრებლის ამკრეფის – 138-168 ლარია.

შპს „ყვირილას“ წესდების მიხედვით, მასზე გადაცემული ქონების იჯარით გაცემა შეთანხმებული უნდა ყოფილიყო მუნიციპალიტეტთან.⁵⁷ შპს-ის მიერ 2018-2019 წლებში იჯარით გაცემული 28 ობიექტიდან მუნიციპალიტეტთან შეთანხმებულია და იჯარის თანხა ექსპერტის (აუდიტის) მიერ განსაზღვრულია მხოლოდ 6 შემთხვევაში. დანარჩენი ობიექტების იჯარის თანხა შპს-ის მიერ განსაზღვრულია დამოუკიდებლად, მენეჯმენტის შეხედულებისამებრ, რაც არ გამორიცხავს გადასახადის სუბიექტურად, საბაზროსთან შედარებით დაბალი ფასით განსაზღვრის რისკს. აღნიშნულზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მარცვლეულით მოვაჭრეებზე გაცემული 1 კვ.მ ფართის საიჯარო ქირა წელიწადში მერყეობს 20 ლარიდან 55 ლარამდე. ბაზრის კომპაქტურ ტერიტორიაზე საიჯარო ტერიტორიების განლაგება ფასთან მიმართებაში მოკლებულია ყოველგვარ ლოგიკას. კერძოდ, გაურკვეველია რა პრინციპით განისაზღვრა მნიშვნელოვანი განსხვავებით მოსაზღვრე ნაკვეთების 1 კვ.მ-ის საიჯარო ქირა. პროცესი შეიცავს რისკებს, რომ ქონება დაბალი ფასით გაცემული იყო ფორმალურად და შპს სრულად არ აღრიცხავდა და იღებდა არაოფიციალურ შემოსავლებს. აღნიშნულ მოსაზრებას ამყარებს ის გარემოება, რომ 2018-2019 წლებში შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმი

⁵⁷ მუხლი 5.7.

შეადგენდა თვეში 174-188 ლარს,⁵⁸ რაც აღემატება მოსაკრებლების ამკრეფების საშუალო ხელფასს.

კულტურისა და სპორტის ა(ა)იპ-ები

2018-2019 წლებში ზესტაფონის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებდა 12 ა(ა)იპ, რომელთა დაფინანსებაზე ადგილობრივი ბიუჯეტიდან გაწეულია 11,251.8 ათასი ლარის ხარჯი. მიღებული თანხის 68.5% გახარჯულია შრომის ანაზღაურებაზე. 2018-2019 წლებში ა(ა)იპ-ებში დასაქმებული იყო 912-953 პირი.⁵⁹

ა(ა)იპ-ებში დასაქმებულთა მაღალი რიცხოვნობა და შესაბამისად, საბიუჯეტო ასიგნებების ზრდა ნაწილობრივ განპირობებულია დაფუძნებული სუბიექტების ორგანიზაციული სტრუქტურის ნაკლოვანებით, კერძოდ:

- მუნიციპალიტეტში კულტურის სფეროს მართვის მიზნით, ფუნქციონირებს 6 იურიდიული სუბიექტი. თითოეული ა(ა)იპ წარმოდგენილია დამოუკიდებელი სუბიექტის სახით, მართვის შესაბამისი ადმინისტრაციული რგოლით. 2018-2019 წლებში მუნიციპალიტეტმა აღნიშნული ორგანიზაციების დაფინანსებაზე დახარჯა 1,661.0 ათასი ლარი.⁶⁰ მათ შორის, თითოეული სუბიექტის ადმინისტრაციაში დასაქმებულია 2-5 პირი,⁶¹ რომელთა სახელფასო ხარჯი 232.0 ათასი ლარია.

- მოქალაქეთა გაჯანსაღების, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობისა და ფიზიკური განვითარების მიზნით, მუნიციპალიტეტში დაფუძნებულია იდენტური პროფილის 2 ა(ა)იპ.⁶² აღნიშნული სუბიექტების დაფინანსებაზე მუნიციპალიტეტმა 2018-2019 წლებში დახარჯა 1,151.5 ათასი ლარი.⁶³ აქედან, ადმინისტრაციაში დასაქმებულია 3-4 პირის სახელფასო ხარჯმა 140.6 ათასი ლარი შეადგინა.

აუდიტის ჯგუფის მოსაზრებით, კულტურისა და სპორტის სფეროების მართვა, საქმიანობის არსებული მასშტაბიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, მომსახურების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის შეუცვლელად, შესაძლებელია განხორციელდეს თითოეულ სფეროში ერთი ორგანიზაციის მიერ. მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა მტკიცებულებები, რატომ არის უფრო ეფექტიანი და მეტი შედეგის მომტანი აღნიშნული საქმიანობისათვის 8 დამოუკიდებელი ა(ა)იპ-ის ფუნქციონირება. დაფუძნებული სუბიექტების სტრუქტურული გაერთიანება გამოიწვევს ადმინისტრაციული ხარჯის შემცირებას, შესაბამისად, ფინანსური და მატერიალური რესურსების ეკონომიას.

⁵⁸ საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით.

⁵⁹ მერიისა და საკრებულოს საშტატო რიცხოვნობის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულია 1069-1118 კაცი. ზესტაფონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობის რიცხოვნობის გათვალისწინებით (56.3 ათასი კაცი) და მიღებული პრაქტიკიდან გამომდინარე, აღნიშნული მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია.

⁶⁰ 2018 წელს - 795.8 ათასი ლარი, 2019 წელს - 865.2 ათასი ლარი.

⁶¹ დირექტორი, მოადგილე, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, შესყიდვების სპეციალისტი.

⁶² ა(ა)იპ - ზესტაფონის სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრი; ა(ა)იპ - სიმონ საყვარელიძის სახელობის სპორტული სკოლა.

⁶³ ა(ა)იპ - სიმონ საყვარელიძის სახელობის სპორტული სკოლა, 2018 წელს - 260.4 ათასი ლარი, 2019 წელს - 273.4 ათასი ლარი. ა(ა)იპ - ზესტაფონის სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრი, 2018 წელს - 295,1 ათასი ლარი, 2019 წელს - 322,6 ათასი ლარი.

დასკვნა

მერია არ ახორციელებს დაფუძნებული სუბიექტების საქმიანობის სათანადო კონტროლსა და ზედამხედველობას, რის გამოც მათი ფუნქციონირება ხარვეზებით მიმდინარეობს: საბიუჯეტო რესურსები იხარჯება არამართლზომიერად, არსებული შემოსავლები სრულად არ აღირიცხება, ქონება განკარგულია არაეფექტიანად და სხვ. მუნიციპალიტეტის მხრიდან ზემოაღნიშნული მიდგომა ხელს ვერ შეუწყობს დაფუძნებული სუბიექტების განვითარებას, ფინანსური შედეგების გაუმჯობესებას და მისაღები დივიდენდების ზრდას.

რეკომენდაცია №8

მერიამ შეისწავლოს დაფუძნებული იურიდიული პირების სარგებლიანობისა და არსებული საკადრო პოლიტიკის საკითხი და მიიღოს ოპტიმალური გადაწყვეტილება, რომელიც გაზრდის მათი საქმიანობის ეფექტიანობას. ამასთანავე, შეიმუშაოს სუბიექტების მართვის ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს შემოსავლების ბიუჯეტში დროულ და სრულ მობილიზებას. აღნიშნული ხელს შეუწყობს საბიუჯეტო სახსრების პროდუქტიულ გამოყენებასა და შემოსავლების გაზრდას.

2.7 ქონების მართვა

2.7.1 არასაბაზრო ღირებულებით გადაცემული ქონება

კრიტერიუმი: კანონმდებლობის თანახმად, მუნიციპალური ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა შესაძლებელია შემდეგი ფორმების გამოყენებით: აღნაგობა, უზუფრუქტი, ქირავნობა, იჯარა, თხოვება და სხვ.⁶⁴ მუნიციპალური ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მხარეებს შორის იდება ხელშეკრულება. მუნიციპალური ქონებით მოსარგებლე პირი იხდის შესაბამის საფასურს, რაც ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ერთ-ერთი წყაროა.

მუნიციპალიტეტის მიერ ქონების გრძელვადიან პერიოდში სარგებლობის უფლებით გადაცემაზე გაფორმებული ხელშეკრულებები ითვალისწინებს საიჯარო ქირის გადასინჯვას. აღნიშნული პირობა უზრუნველყოფს მისაღები სარგებლის მისადაგებას საბაზრო ღირებულებასთან, რითაც დაცული იქნება მუნიციპალიტეტის, როგორც კანონიერი მესაკუთრის ინტერესები.

ფაქტობრივი გარემოება: 2003 წლის 13 მარტს ზესტაფონის მუნიციპალიტეტსა და შპს „დინექსი 2002“-ს შორის გაფორმდა საიჯარო ხელშეკრულება, ქალაქ ზესტაფონში „კვალითის კაშხლის“ მიმდებარედ არსებული 20,000 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარით გაცემაზე.⁶⁵ ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2023 წლის აპრილამდე, ხოლო ქონების საიჯარო გადასახადი – წლიურად 2,772.0 ლარის ოდენობით. ხელშეკრულების მიხედვით, შესაძლებელი იყო იჯარის ქირის ცვლილება, საბაზრო ღირებულების შესაბამისად.

საანგარიშო პერიოდში მიწის იჯარის ფასი განისაზღვრებოდა საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტის შესაბამისად, კერძოდ, ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურის არანაკლებ 5%-ის ოდენობით.⁶⁶ მიუხედავად ამისა,

⁶⁴ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 122.

⁶⁵ საკადასტრო კოდი: 32.12.33.015.

⁶⁶ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილება „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“, მუხლი 36.

დასკვნა

2.7.2 პრივატიზების
შეუსრულებელი
პირობა

მუნიციპალიტეტს ხელშეკრულებაში სათანადო ცვლილება არ შეუტანია და ქონების საბაზრო ღირებულება განსაზღვრა მხოლოდ აუდიტის ჯგუფის მიერ საკითხით დაინტერესების შემდეგ. აუდიტორული შეფასებით,⁶⁷ მიწის საწყისმა საპრივატიზაციო ღირებულებამ 127.5 ათასი ლარი შეადგინა. შესაბამისად, ქონების მინიმალური წლიური საიჯარო ქირა განისაზღვრება, მინიმუმ, 6,375.0 ლარით, 2,772.0 ლარის ნაცვლად.

დასკვნის შესაბამისად, მერიამ 2020 წლის 11 მაისს მიმართა საკრებულოს შპს „დინექსი 2002“-ისათვის წლიური ქირის თავიდან განსაზღვრის მიზნით. ამდენად, თუ მუნიციპალიტეტი ხელშეკრულებაში ცვლილებას დროულად შეიტანდა, მიიღებდა მნიშვნელოვნად გაზრდილ საიჯარო ქირას.

მუნიციპალური ქონების სარგებლობის უფლებით გაცემის ძირითად მიზანს დამატებითი საბიუჯეტო შემოსავლების მიღება წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტმა არ შეისწავლა ხელშეკრულებით განსაზღვრული ფასის შესაბამისობა საბაზრო ღირებულებასთან და მუნიციპალიტეტის ინტერესების სასარგებლოდ არ იმსჯელა საიჯარო ქირის ცვლილებაზე, რაც გაზრდიდა მუნიციპალიტეტის შემოსავლებს. მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტი პერიოდულად ახორციელებდეს ქონების ღირებულების გადაფასებას და შესაბამისი ხელშეკრულებების პირობების სათანადო ცვლილებას.

კრიტერიუმი: მუნიციპალური ქონების პრივატიზებისას, პირობებიანი აუქციონის შემთხვევაში, საკუთრების/სარგებლობის უფლება მიენიჭება აუქციონში მონაწილე იმ პირს, რომელიც აიღებს ვალდებულებას, დააკმაყოფილოს გამოცხადებული პირობები და გადაიხადოს ყველაზე მაღალი ფასი.⁶⁸ ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებები, როგორც წესი, ითვალისწინებს საჯარიმო სანქციებს მხარეების მიერ ხელშეკრულებების პირობების დარღვევისას.

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტმა ზოგიერთი ქონების პრივატიზებისას გამოიყენა პირობებიანი აუქციონის ფორმა. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ობიექტების დათვალიერებით გაირკვა, რომ ზოგ შემთხვევაში ხელშეკრულების პირობები შეუსრულებელია, კერძოდ:

მუნიციპალიტეტმა 2015-2016 წლებში ელექტრონულ აუქციონებზე გაყიდა სოფლების: დილიკაურისა და ბოსლევის კლუბების, ასევე მეორე სვირის ყოფილი გამგეობისა და სოფელ ფუთის ყოფილი სკოლის შენობები. პრივატიზების პირობის მიხედვით, მყიდველებს უნდა განეხორციელებინათ შენობების დემონტაჟი, მეორადი მასალების გატანა და ტერიტორიის მოწესრიგება. პირობის შეუსრულებლობისათვის ხელშეკრულებები ითვალისწინებდა საჯარიმო სანქციას.

⁶⁷ შპს „კომპაუნდის“ 2020 წლის 24 აპრილის №043-ქ დასკვნა.

⁶⁸ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილება „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“, მუხლი 2, პუნქტი „მ“.

2020 წლის ივნისში აუდიტის ჯგუფმა დაათვალიერა აღნიშნული ტერიტორიები. გამოვლინდა, რომ შენობები სრულად დემონტირებული არ არის, სამშენებლო ნარჩენები და მეორადი მასალების ნაწილი განთავსებულია ტერიტორიაზე, რომელიც არ არის მოსწორებული და დასუფთავებული. მერიამ არ გაატარა საკმარისი და შესაფერისი ღონისძიებები მყიდველების მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის. მუნიციპალიტეტმა ვერ მიიღო 22.3 ათასი ლარის შემოსავლი ჯარიმის სახით⁶⁹ და მის საკუთრებაში არსებული ტერიტორიები მოუწესრიგებელია.

2.7.3 ჩაუტარებელი ინვენტარიზაცია

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით,⁷⁰ საბიუჯეტო ორგანიზაციაში აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ყოველწლიურად, საბიუჯეტო წლის ბოლოს, გარდა უძრავი ქონებისა, რომლის ინვენტარიზაცია ხორციელდება 3 წელიწადში ერთხელ მაინც. ორგანიზაციაში ინვენტარიზაციის ჩატარების მიზნით, ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე, იქმნება საინვენტარიზაციო კომისია.

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტს 2018-2019 წლებში აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია არ ჩაუტარებია, მათ შორის, არ განხორციელებულა უძრავი ქონების ინვენტარიზაცია, რომელიც სავალდებულოა სამ წელიწადში ერთხელ. შესაბამისად, არ მომხდარა აქტივებისა და ვალდებულებების, ასევე ბალანსის საცნობარო მუხლებში ასახული ფაქტობრივი ნაშთების დადგენა და ორგანიზაციის სააღრიცხვო მონაცემებთან შედარება. ასევე ფინანსური და არაფინანსური აქტივების შენახვის/დაცვის წესებისა და პირობების და არაფინანსური აქტივების ექსპლუატაციის წესების დაცვის შემოწმება.

დასკვნა

ორგანიზაციული და პერსონალის მართვასთან დაკავშირებული ხარვეზების გამო, მუნიციპალიტეტმა დაარღვია სამართლებრივი აქტის მოთხოვნები ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის შესახებ. შედეგად არსებობს მაღალი რისკი, რომ შეუმჩნეველი დარჩეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არაფინანსური და ფინანსური აქტივების, მატერიალური ფასეულობების შენახვისა და დაცვის პირობების დარღვევის, ასევე დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევები.

რეკომენდაცია №9

მერიამ განახორციელოს ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით, რაც უზრუნველყოფს აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების დადგენას და მათ შედარებას ორგანიზაციის სააღრიცხვო მონაცემებთან, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება ინვენტარიზაციის შედეგების დადგენა და შესაბამისი მატერიალურად პასუხისმგებელი პირების გამოვლენა. აღნიშნული გაზრდის მუნიციპალური აქტივების დაცულობის ხარისხს.

⁶⁹ ი/მ გიორგი შავგულიძეზე 2020 წლის 1 ივლისისათვის დაურეგისტრირებელი ჯარიმა შეადგენს 6.5 ათასი ლარს ($11.9 \times 1100 \times 0.05\% = 6.5$), ხოლო ფ/მ მამუკა ხურციავზე დარიცხულმა და გადაუხდელომა თანხამ შეადგინა 15.8 ათასი ლარი (სასამართლოს მიერ დაკისრებული 27.9 ათასი ლარიდან გადახდილია 12.1 ათასი ლარი).

⁷⁰ „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება.

2.8 სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებების ნაკლოვანებები

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულს უფლება აქვს განახორციელოს ღონისძიებები, მოსახლეობაზე სოციალური დახმარების გაწევის მიზნით.⁷¹ მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველყოს საქმიანობის წარმართვა ისე, რომ მაქსიმალურად გამორიცხოს სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების რისკი სოციალური დახმარების გაცემის პროცესში. საუკეთესო პრაქტიკის მიხედვით, მუნიციპალიტეტი შეიმუშავებს ფინანსური დახმარების გაცემის წესს, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს, რა კრიტერიუმებსა და პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს დახმარების მიმღები პირი. მერიის სამუშაო ჯგუფი (კომისია) განიხილავს მოქალაქეების წარდგენილ განცხადებებს, სწავლობს, აკმაყოფილებს თუ არა პირი პროგრამით განსაზღვრულ კრიტერიუმებს და იღებს გადაწყვეტილებას ბენეფიციარის დაკმაყოფილების/დაუკმაყოფილებლობის შესახებ.

ფაქტობრივი გარემოება: 2018-2019 წლებში მუნიციპალიტეტმა სოციალური დახმარების კუთხით 15 სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში გახარჯა 3,345.7 ათასი ლარი.⁷² აღნიშნული თანხიდან 1,098.4 ათასი ლარი (32.8%) გაცემულია „მუნიციპალიტეტში მცხოვრები ოჯახების ფინანსური დახმარების პროგრამით“, რომელიც მოიცავს 10 ქვეპროგრამას.⁷³ მათ შორისაა, „განსაკუთრებულ შემთხვევებში ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ და მცხოვრებ, უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებზე დახმარება“. ქვეპროგრამა ითვალისწინებს ბენეფიციარების 100 ლარიდან არა უმეტეს 500 ლარამდე დახმარებას. აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში, 2018-2019 წლებში 3064 ბენეფიციარზე გაცემულია 382.2 ათასი ლარი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით გამოვლინდა, რომ ქვეპროგრამის ფარგლებში თანხის გაცემის არსებულ წესში აღწერილია თანხის გაცემისა და ბენეფიციარების შერჩევის ზოგადი მიდგომები. არ არის განსაზღვრული დახმარების გაცემის კონკრეტული კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც უნდა გადაწყვიტოს კომისიამ, რა თანხას მიიღებს ბენეფიციარი. შესაბამისად, დახმარების მიმღებ პირებზე გასაცემი კონკრეტული თანხის ოდენობას შესაბამისი კომისია ადგენდა საკუთარი შეხედულებისამებრ. ამდენად, კრიტერიუმების არარსებობის პირობებში არ არის დასაბუთებული – როგორ და რის საფუძველზე განსაზღვრავდა კომისია დახმარების ზღვრულ ოდენობას.

კრიტერიუმების არარსებობა მძიმე სოციალურ პირობებში მყოფ ოჯახებზე გაცემული დახმარებების ფარგლებში ვერ უზრუნველყოფს თანხების სამართლიან და ეფექტიან განაწილებას, ხელს უწყობს მოსახლეობის არათანაბარ პირობებში ჩაყენებას და ზრდის სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების რისკს. ასევე შესაძლებელია, რომ გასაცემი დახმარების მაქსიმალური მოცულობები განისაზღვროს არასწორად და შესაბამისად, მერიამ ვერ უზრუნველყოს გამოყოფილი თანხების ოპტიმალური ხარჯვა. მნიშვნელოვანია,

დასკვნა

⁷¹ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 16.

⁷² 2018 წელი - 1,459.0 ათასი ლარი, 2019 წელი - 1,886.7 ათასი ლარი.

⁷³ 2018 წელი - 466.1 ათასი ლარი, 2019 წელი - 632.3 ათასი ლარი.

რომ მუნიციპალიტეტმა უზრუნველყოს ბენეფიციარების შერჩევის ისეთი კრიტერიუმების ჩამოყალიბება, რაც განაპირობებს სოციალური დახმარების საჭიროების მიხედვით განაწილებას.

2.9 დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირების ხარვეზები

კრიტერიუმი: კანონის მიხედვით, ადგილობრივი მოსაკრებელი არის აუცილებელი გადასახდელი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში, რომელსაც იხდიან ფიზიკური და იურიდიული პირები.⁷⁴ ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, საკრებულოს დადგენილების საფუძველზე, დაწესებულია დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი.⁷⁵ მოსაკრებლის სათანადო ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელია აღმასრულებელი ორგანო.

ფაქტობრივი გარემოება. მუნიციპალიტეტში დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირებას ახორციელებს ა(ა)იპ – ზესტაფონის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვისცენტრი. წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, 2018-2019 წლებში ბიუჯეტით დაგეგმილი იყო 200.0 ათასი ლარის დასუფთავების მოსაკრებლის მიღება. ფაქტიურად ბიუჯეტში მობილიზებულია 152.9 ათასი ლარი, დაგეგმილი მოსაკრებლის 77%. იურიდიული პირებისა და ინდივიდუალური მეწარმეების გადაუხდელობა გადასახადმა 2020 წლის 1 იანვრისთვის შეადგინა 7.5 ათასი ლარი.

აღსანიშნავია, რომ ა(ა)იპ იურიდიული პირებიდან და ინდივიდუალური მეწარმეებიდან მოსაკრებლის გადახდას უზრუნველყოფს გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად. რაც შეეხება მოსახლეობას, პასუხისმგებელი პირის განმარტებით, გადამხდელი მოსახლეობის ერთიანი სრულყოფილი ბაზა არ გააჩნიათ. შესაბამისად, გადასახდელ თანხაზე შეტყობინება ეგზავნება მოსახლეობის მხოლოდ ნაწილს და გადასახადის გადახდა არ კონტროლდება. შედეგად, მუნიციპალიტეტი კარგავს შემოსავლებს და ბიუჯეტში ფიზიკური პირებიდან მისაღები მოსაკრებლის დაგეგმვა პირობითია.⁷⁶

დასკვნა

მუნიციპალიტეტში არ არის დანერგილი სათანადო კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსახლეობიდან მოსაკრებლის სათანადო ადმინისტრირებას. შედეგად, მუნიციპალიტეტმა სრულად ვერ დაგეგმა და მიიღო დასუფთავების მოსაკრებელი, რაც უარყოფითად აისახება ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლებზე.

რეკომენდაცია №10

მერია, საკრებულოს დადგენილების შესაბამისად, უზრუნველყოს დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელთა ბაზის შექმნა და წლის განმავლობაში მისაღები მოსაკრებლის ოდენობის გაანგარიშება. ასევე შეიმუშაოს მოსაკრებლის გადახდევინების ინსტრუქცია და დანერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომლებიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს

⁷⁴ საქართველოს კანონი „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“, მუხლი პირველი.

⁷⁵ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 თებერვლის №7 დადგენილება.

⁷⁶ ქალაქში დაახლოებით ცხოვრობს 5-6 ათასი ოჯახი, წლიური გადასახადი საშუალოდ შეადგენს 12 ლარს ოჯახზე. გადასახადს იხდის აგრეთვე იმ სოფლების მოსახლეობა, საიდანაც ხორციელდება ნარჩენების გატანა (თითქმის ყველა ადმინისტრაციული ერთეული). ამდენად მოსახლეობის მიერ გადახდილი თანხა რამდენჯერმე მეტი უნდა იყოს.

დასუფთავების მოსაკრებლის სახით მისაღები შემოსავლების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მობილიზებას.

2.10 შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის ნაკლოვანებები

კრიტერიუმი. მუნიციპალიტეტის წარმატებული საქმიანობისათვის მნიშვნელოვანია სისტემის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული შიდა აუდიტის სამსახურის შექმნა.⁷⁷ სამსახურის მიზანია დაეხმაროს მუნიციპალიტეტს იმ პოლიტიკისა და პროცედურების განხორციელებაში, რომლებიც დაადგინა ხელმძღვანელობამ, მოწესრიგებული და ეფექტიანი მართვის მიზნით, მათ შორის, აქტივების დასაცავად, თაღლითობისა და შეცდომების აღმოსაჩენად და თავიდან ასაცილებლად, ბუღალტრული აღრიცხვის ჩანაწერების სიზუსტისა და სისრულის უზრუნველსაყოფად, ფინანსების მართვის გასაუმჯობესებლად და სხვ. დასახული ამოცანების მისაღწევად, შიდა აუდიტის სამსახური შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომელთა შესრულება უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის ზრდას.

ორგანიზაციის ხელმძღვანელი ვალდებულია უზრუნველყოს შიდა აუდიტორულ ანგარიშში სასახულ რეკომენდაციებზე შესაბამისი რეაგირება. ის პასუხისმგებელია ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის მონიტორინგსა და შეფასებაზე. მონიტორინგი უზრუნველყოფს შიდა აუდიტორული ანგარიშით გათვალისწინებული რეკომენდაციების დროულ და შესაბამის შესრულებას.

ფაქტობრივი გარემოება. მუნიციპალიტეტში შექმნილია შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახური. სამსახური უფლებამოსილია გამგეობის სტრუქტურულ ქვედანაყოფებსა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში ჩაატაროს სისტემური, შესაბამისობის, ეფექტიანობის, ფინანსური და ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტი, რომელთა მეშვეობით შესაძლებელი იქნება გაირკვეს, რამდენად შეესაბამება მათი საქმიანობა დაგეგმილ მიზნებსა და ამოცანებს; რამდენად კანონიერად, მიზნობრივად და ეფექტიანად ხორციელდება დაფინანსების გამოყენება, არის თუ არა სრულყოფილად დანერგილი მართვისა და კონტროლის მექანიზმები და სხვ.

2018-2019 წლებში სამსახურმა ჩაატარა 22 აუდიტორული შემოწმება, მათ შორის: 15 შემოწმება – მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპ-ებში, 4 - შპს-ში და 3 მუნიციპალიტეტის სამსახურში. ჩატარებული აუდიტებით გამოვლენილია სხვადასხვა სახის დარღვევა-ნაკლოვანებები, რომელთა გამოსწორების მიზნით 2018 წელს გაიცა 72 რეკომენდაცია, საიდანაც შესრულებულია – 21 (29 %); 2019 წელს გაიცა 54 რეკომენდაცია, საიდანაც შესრულებულია – 13 (24 %).

შიდა აუდიტის სამსახურის მიერ გაცემულია ზოგადი ხასიათის რეკომენდაციები, რომლებიც არ არის მიმართული კონკრეტული ნაკლოვანების გამომწვევი მიზეზების აღმოსაფხვრელად, რის გამოც სავარაუდოდ ისინი ვერ უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემის გაუმჯობესებას. გარდა ამისა, შიდა აუდიტის

⁷⁷ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“.

სამსახურმა საქმიანობის პროცესში ვერ გამოავლინა კონტროლის მექანიზმების ის სისუსტეები და ხარვეზები, რაც მიგნებების სახით წარმოდგენილია წინამდებარე ანგარიშში.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურმა, მერის ბრძანების⁷⁸ შესაბამისად, 2020 წლის თებერვალსა-მარტში ჩაატარა ა(ა)იპ – ზესტაფონის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვისცენტრის საქმიანობის აუდიტი, რომელიც შეეხო 2018 წლის 1 აგვისტოდან, 2020 წლის 1 მარტამდე პერიოდს. სხვა დარღვევებთან ერთად, სამსახურმა გამოავლინა სავტომობილო საწვავის ფაქტობრივ საჭიროებაზე გაცილებით დიდი ოდენობით ჩამოწერის (ხარჯვის) შემთხვევები, რაც სავარაუდოდ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს. აუდიტის მიმდინარეობისას მუნიციპალიტეტმა შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიშში ასახული დარღვევა-ნაკლოვანებები შემდგომი რეაგირებისათვის გადაუგზავნა სამართალდამცავ ორგანოს.⁷⁹

დასკვნა

მუნიციპალიტეტში არსებობს ორგანიზაციული და პერსონალის მართვასთან დაკავშირებული ხარვეზები, რის გამოც მერიის შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობა სათანადოდ ვერ უზრუნველყოფდა მერიის ფინანსების მართვის გაუმჯობესებას, მატერიალური ფასეულობების ხარჯვისა და გამოყენების კანონიერების, მიზნობრიობის დაცვასა და ეფექტიანობის გაზრდის ხელშეწყობას. სამსახურს არ შეუფასებია, შეესაბამება თუ არა მუნიციპალიტეტის საქმიანობა დაგეგმილ მიზნებსა და ამოცანებს, რამდენად კანონიერად, მიზნობრივად და ეფექტიანად გამოიყენება დაფინანსება, დანერგილია თუ არა ადეკვატური მართვისა და კონტროლის მექანიზმები და სხვ.

რეკომენდაცია №11

მერიამ შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობა იმგვარად წარმართოს, რომ უზრუნველყოს ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემების შესწავლა და შეფასება, ასევე პროცესებში არსებული რისკებისა და სისტემური ხარვეზების გამოვლენა. მიღებული შედეგების საფუძველზე, სამსახურმა შეიმუშაოს რეკომენდაციები და განახორციელოს მისი მუდმივი მონიტორინგი. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდას და საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებას.

2.11 წინა პერიოდში ჩატარებული აუდიტის შედეგები

2016 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2014-2015 წლების საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შესაბამისობის ანგარიშების აუდიტი.

აუდიტის ობიექტმა გაატარა ღონისძიებები და წარმოადგინა ინფორმაცია წინა აუდიტის ანგარიშში ასახული ზოგიერთი ხარვეზის გამოსწორების შესახებ, თუმცა მუნიციპალიტეტმა არ მოახდინა სათანადო რეაგირება და არ გამოასწორა ზოგიერთი დარღვევა-ნაკლოვანება. კერძოდ, წინა აუდიტის ანგარიშში აღნიშნული იყო, რომ მუნიციპალიტეტმა რამდენიმე შესყიდვის

⁷⁸ ბრძანება №43 198, 07.02.2020.

⁷⁹ მერიის 2020 წლის 1 ივლისის №43/3058 მიმართვა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახურის სახელზე.

შემთხვევაში აანაზღაურა უხარისხოდ შესრულებული არსებითი ღირებულების საგზაო სამუშაოები და არ უზრუნველყო ხარვეზების გამოსწორება. მიუხედავად ამისა, აუდიტის მიმდინარეობისას აღნიშნული ხარვეზები აღმოფხვრილი არ იყო. ამასთანავე, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მოსახლეობისათვის მიწოდებული მასალების ნაწილი ისევ გამოუყენებელი და დასაწყობებულია.

გარდა ამისა, მუნიციპალიტეტმა განმეორებით დაუშვა აუდიტის წინა ანგარიშში აღწერილი ზოგიერთი დარღვევა. მაგალითად, შპს „საპოვნელა +“-ის მიერ უხარისხოდ განხორციელებული საგზაო სამუშაოები გამოვლინდა მიმდინარე პერიოდშიც. მიუხედავად ამისა, კომპანია კვლავ მონაწილეობს მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში და ხელშეკრულებები ამ მიმწოდებელთან გაფორმებულია გამარტივებული შესყიდვის საშუალებითაც. განმეორებით დაშვებული სხვა ხარვეზები, ასევე აღწერილია აუდიტის ანგარიშში.

აუდიტორები

ხელმოწერა

გიორგი ჩახვაძე
წამყვანი აუდიტორი



ქრისტინე ეკალაძე
უფროსი აუდიტორი



სოფიო ბელთაძე
აუდიტორი



თამარ კუხიანიძე
აუდიტორ-ასისტენტი



დანართები

დანართი №1.

2018-2019 წლებში განხორციელებული საგზაო სამუშაოები

(ათასი ლარი)

შესყიდვის №	დათვალიერებული ობიექტი	სამუშაოს ღირებულება	გამოვნილი ხარვეზები
NAT180011764	სოფელ ცხრაწყაროს გზის რეაბილიტაცია	128.9	გზაზე აღინიშნება დიდი განივი და გრძივი ზხარები.
NAT180011759	სოფელ ტაბაკინის გზა	168.8	ბეტონის გზა დატალღულია.
NAT190017130	სოფელ ტაბაკინის გზა	235	ბეტონის გზა დატალღულია
NAT180011764	ზედა საქარაში გზა (ფუტკარაძეების უბნის გაგრძელება)	109.7	ბეტონის გზას აღენიშნება მნიშვნელოვანი ზხარები.
NAT180011764	ქ.ზესტაფონში, ქოჩიაშვილის ქუჩა	79.4	გზის ზედაპირი დატალღულია.
NAT190006408	ქ.ზესტაფონში, ლესელიძის ქუჩა	98.7	გზის ზედაპირი დატალღულია.
NAT170010069	ქ.ზესტაფონში, ზაპოროჟიეს ქუჩა	155.3	უხარისხოა ბეტონის ზედაპირი, ზოგიერთი კოროზირებულია.
NAT180011762	ქ. ზესტაფონში, დემეტრეს ქუჩა და ჩიხები	109.2	ჭის თავების ირგვლივ ბეტონი დაზიანებულია.
NAT170010069	ფიროსმანის ქუჩის მეორე ჩიხი	77.6	დაგებული ბეტონის ზოგიერთ მონაკვეთზე ზედაპირი კოროზირებულია.
NAT180004011	დაბა შორაპანში, ფარნავაზი-ვანაძის ქუჩები	133.4	ბეტონის გზაზე აღინიშნება ზხარები.
NAT190012811	ცხრაწყარო-ძლოურდანეთის გზა	233.6	ბეტონის გზაზე აღინიშნება ზხარები.
NAT180004011	სოფელ ფუთში ეკლესიამდე მისასვლელი გზა	221.2	ბეტონის გზაზე აღინიშნება ზხარები.
	სულ:	1,750.9	

დანართი №2.

2018-2019 წლებში რეაბილიტირებული განათლებისა და სპორტის ობიექტები

(ათასი ლარი)

შესყიდვის №	დათვალიერებული ობიექტი	სამუშაოს ღირებულება	გამოწვევები ხარვეზები
NAT170004284, NAT190013663	ქ. ზესტაფონის №1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება	169.5	ზოგიერთ ადგილას კედლიდან და ჭერიდან ჩამოყრილია ნალესი და საღებავი, იატაკზე მოწყობილი ლამინატი გაცვეთილი და დაზიანებულია.
NAT170004284	სოფელ მარტოთუბნის №30 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება	32.0	ზოგ ადგილას დაზიანებულია და კედლებიდან ჩამოყრილია საღებავი.
NAT170004284	სოფელ კვალითის №17 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება	31.5	კედლების დაზიანებულია, ჩამოყრილია ნალესი და საღებავი.
CMR190153010	ცხრაწყაროს №19 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება	63.1	კედლებიდან ჩამოყრილია ნალესი და საღებავი, ზოგ ოთახში დაზიანებულია ლამინირებული იატაკი.
NAT170004284	სოფელ ტაბაკინის №22 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება	69.6	კედლების დაზიანებულია, ჩამოყრილია ნალესი და საღებავი.
NAT170004284	სოფელ აჯამეთის №43 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება	47.3	კედლები დაზიანებულია, ჩამოყრილია ფითხი.
NAT170004284	სოფელ როდინაულის №9 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება	60.0	გაფუჭებულია სამზარეულო/საპირფარეშოს ნიჟარები, დაზიანებულია ონკანი.
CMR190153008	სოფელ მეორე სვირში №13 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება	48.7	ზოგიერთ ადგილას კედლები დაზიანებულია, ჩამოყრილია ფითხი, საპირფარეშოს არ აქვს კარი.
NAT170004284	ქალაქის №2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება	85.1	ზოგიერთ ადგილას ჩამოყრილია ნალესი და საღებავი, დაზიანებულია ლამინატი და პლინტუსები. საპირფარეშოს კედლები სველია, ხოლო ონკანები გამოსულია მწყობრიდან.
NAT190005764	ბაღების რეაბილიტაცია (№4 ბაღი)	65.4	შეინიშნება ნალესის და საღებავის ჩამოცვენა, დაზიანებულია ლამინატი, ასევე სამინებლის ოთახის კედელზე შეინიშნება სინესტე.

NAT170004284	ქალაქის №3 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება	23.8	ჭერიდან ჩამოდის წყალი. ოთახებში დაზიანებულია კედლები: ჩამოცვენილია ნაღესი და საღებავი. დაზიანებულია ლამინატი.
NAT180011758	არგვეთის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება	80.8	შენობის კედლები ორ ადგილას დაზიანებულია, ზოგ ადგილას იატაკი დეფორმირებულია.
NAT190005764	სოფელ დილიკაურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება	72,5	უნიტაზები არ არის დაერთებული წყლის სისტემაზე და არ ფუნქციონირებს, გათბობის სისტემა არ ფუნქციონირებს, კედელი სველია. არის წყლის მიწოდების პრობლემა.
NAT170004284	სოფელ ზედა საქარის №32 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება	77.8	ლამინირებული იატაკი ზოგიერთ ადგილას დაზიანებულია; ჭერიდან ჩამოედინება წყალი და დაზიანებულია ჭერი და კედელი; ჩასმული კარების ღიობები არ არის ამოვსებული, ერთი კარები არ არის დამაგრებული კედელში.
NAT170004284	სოფელ შროშის №26 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება	59.6	ბაღის ლამინირებული იატაკი დაზიანებულია. ზოგიერთ ოთახში არ არის სანათები. შესავლელი კარები დაზიანებულია.
NAT190013660	სოფელ ილემის №23 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება	42.1	კედლის საღებავი დაზიანებულია, იატაკზე დაგებული პლასტიკატი რამდენიმე ადგილასაა დაზიანებული.
NAT190010939	სოფელ შროშის სკოლის კარები	15.7	დაზიანებულია მოწყობილი ორი კარი.
NAT190010935	სოფელ ძირულას სკოლის კარები	12.4	სამ კარს სახელური არა აქვს, ერთი დაზიანებულია და არ იკეტება.
NAT190018656	სოფელ მარტოთუბანში მინი-მოედნი	41.1	მოედნის ირგვლივ არსებულ კედელზე ზოგ ადგილას ბეტონი ჩამოყრილია.
CMR190162462	ქ. ზესტაფონის 4 სკოლის (№ 4,5,6,7 სკოლები) მინი-მოედნის რეაბილიტაცია	267.6	მოედნის ხელოვნური საფარი ზოგან არ არის დახაზული. № 6 სკოლის მოედნის ერთ მონაკვეთზე დგება წყალი, №7 სკოლის მოედანზე არ არის დამონტაჟებული ფეხბურთის კარი. სკოლის მიმდებარე ტერიტორიის შემოღობვის გაღესვა დაუსრულებელია.
სულ :		1,366.0	

დანართი №3.

2018-2019 წლებში რეაბილიტირებული სხვა ობიექტები

(ათასი ლარი)

შესყიდვის №	დათვალიერებული ობიექტი	სამუშაოს ღირებულება	გამოწვევითი ხარვეზები
NAT 180011360	უშანგი ჩხეიძის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაციის სამუშაოები	38.4	მირითად და დამხმარე შენობაში სახურავიდან რამდენიმე ადგილას ჩამოდის წყალი.
NAT170009471	ქ. ზესტაფონში, ჭანტურიას ქუჩებზე სკვერის რეაბილიტაცია	22.8	დამონტაჟებული საათი არ მუშაობს (დაზიანებულია საათის მექანიზმი)
NAT 190014884	სოფ. ზოვრეთის ადმინისტრაციულ ერთეულში განახორციელა ამბულატორიის კაპიტალური შეკეთება	18.6	ამბულატორიის ეზოში დაგებული ბეტონის ბილიკი დაზიანებულია, დაზარალებულია შენობის კედლები
NAT190022471	სოფ.მარტოთუბანში მდინარი ბებიაშვილის სახელობის მემორიალის მიმდებარედ ფანჯატურის მოწყობა	3.6	ფანჯატურზე ჩამოყრილია საღებავი, ზოგ ადგილას ბეტონი დაზიანებულია.
	სულ:	83.4	

საკონტაქტო ინფორმაცია

ვებგვერდი და სოციალური მედია

<https://www.sao.ge/>
<https://www.budgetmonitor.ge/ka>
<http://www.blog.sao.ge/>
<http://www.sai.ge/main/>
<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>
<https://www.youtube.com/user/saogeorgia>
<https://www.facebook.com/www.sao.ge>

ცხელი ხაზი

(+995 32) 243 81 81

ელექტრონული ფოსტა

sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38